ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი

EMC

Human Rights Education and Monitoring Center

საქართველოს მთავარ პროკურორს
ბატონ შალვა თადუმაძეს

თბილისის პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის უფროსს პროკურორს
ბატონ გიორგი ოსაძეს

საქართველოს პრემიერ მინისტრს
ბატონ მამუკა ბახტაძეს

საქართველოს პრეზიდენტს ბატონ გიორგი მარგველაშვილს
სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსს
ბატონ ვახტანგ გომერალურს

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს ბატონ ირაკლი კობახიძის
იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარეს
ქალბატონ ეკა ბესელიას

ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარეს
ქალბატონ სოფო კილაძეს

ფრაქციას ,,ნაციონალური მოძრაობა“
ფრაქციას ,,ევროპული საქართველო“
ფრაქციას: საქართველო პატრიოტები
საქართველოს სახალხო დამცველს ქალბატონ ნინო ლომჯარიას

თემირლან მაჩალიკაშვილის სიცოცხლის ხელყოფის საქმეზე მიმდინარე გამოძიების ხარვეზების მიმოხილვა

1. **ზოგადი შესავალი**

ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC) იცავს 2017 წლის 26 დეკემბერს სოფელ დუისში (ახმეტის მუნიციპალიტეტი) სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ ჩატარებული სპეცოპერაციის შედეგად გარდაცვლილი **თემირლან მაჩალიკაშვილისა** და მისი ოჯახის **წევრების** ინტერესებს ეროვნულ დონეზე, ასევე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს წინაშე.

თ. მაჩალიკაშვილის გარდაცვალების ფაქტთან დაკავშირებით თბილისის პროკურატურის საგამოძიებო ნაწილში მიმდინარეობს გამოძიება სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლების მიერ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის ,,გ“ ქვეპუნქტით (სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება) გათვალისწინებული ქმედების სავარაუდო ჩადენის ფაქტზე. **საგამოძიებო პროცესი არსებითი ხასიათის სამართლებრივი ხარვეზებით მიმდინარეობს, რაც**

გამოძიების ფორმალისტურ ხასიათზე უთითებს და ყოველმხრივი, სრული და ობიექტური გამოძიების ჩატარების მოლოდინს არსებითად ამცირებს. გამოძიების საწყის ეტაპზე EMC ითხოვდა სიცოცხლის ხელყოფის საქმის ადამიანის უფლებათა სტანდარტებით შეფასებას და სროლის აუცილებლობისა და პროპორციულობის საკითხის მიღმა, სპეცოპერაციის დაგეგმვისა და ჩატარების ეტაპზე ძალადობის მინიმიზაციის და მისი პრევენციის მიზნით განხორციელებული ღონისძიებების შეფასებას, მათ შორის, მოსალოდნელი რისკების სათანადო გაზომვის, სპეცოპერაციის მასშტაბისა და ფორმის შერჩევის, პროცესის კოორდინაციის, სპეცრაზმელების გადამზადების, მათთვის გაცემული ინსტრუქციის, ძალის გამოყენების რეგულაციების სათანადოობის შეფასებას.

მიმდინარე გამოძიების პროცესი არსებითად ხარვეზიანია და ვერ აკმაყოფილებს ეფექტიანი გამოძიების საერთაშორისო სტანდარტებს. მათ შორის, თემირლან მაჩალიკაშვილის ოჯახის ადვოკატებს არ გვაქვს წვდომა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის საქმიანობასთან დაკავშირებულ არც ერთ ინფორმაციაზე, რაც გამოძიების მასშტაბის სათანადო შეფასების შესაძლებლობას არსებითად გვიზღუდავს. ჩვენი არა ერთი მოთხოვნისა და სამართლებრივი მექანიზმების გამოყენებით დავის მიუხედავად, პროკურატურა არ უზრუნველყოფს საქმის მასალების ამ ნაწილებზე ადვოკატების წვდომას. გამოძიების პირველივე ეტაპზე მნიშვნელოვანი საგამოძიებო მოქმედებების ჩატარება და მტკიცებულებების მოპოვება ინსტიტუციური დამოუკიდებლობის პრინციპის დარღვევით სუს-ის მიერ განხორციელდა, რაც ამოღებული მტკიცებულებების (მათ შორის, ხელყუმბარის) ვალიდურობაზე გავლენას ახდენს და ზოგიერთ შემთხვევაში ჩნდება მტკიცებულებების განადგურებისა და ფალსიფიკაციის ეჭვი. გამოძიების ფარგლებში თ. მაჩალიკაშვილის მამა, მალხაზ მაჩალიკაშვილი ამ დრომდე არ არის ცნობილი დაზარალებულის უფლებამონაცვლედ. საქმეზე არ არის ჩატარებული ცალკეული საგამოძიებო მოქმედებები, რომელსაც არსებითი მნიშვნელობა აქვს საქმეზე სიმართლის დედგენისთვის.

წინამდებარე დოკუმენტში წარმოგიდგენთ თ. მაჩალიკაშვილის სიცოცხლის ხელყოფის ფაქტზე მიმდინარე გამოძიების ფარგლებში ამ დროისთვის გამოკვეთილი ხარვეზების შეფასებას და გთხოვთ, თქვენი მანდატის ფარგლებში დროულ და ეფექტიან რეაგირებას.

2. **მალხაზ მაჩალიკაშვილის დაზარალებულის უფლებამონაცვლედ ცნობის პრობლემა**

თბილისის პროკურატურის საგამოძიებო ნაწილი ამ დრომდე არ უზრუნველყოფს განსახილველ სისხლის სამართლის საქმეში მალხაზ მაჩალიკაშვილის დაზარალებულის უფლებამონაცვლედ ცნობას და საქმის მასალების გაცნობის შესაძლებლობას ოჯახის წევრებსა და ადვოკატებს საქმეზე მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის არსებობის პირობებში აძლევს.

2018 წლის 9 იანვარს ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრმა (EMC) თბილისის პროკურატურის საგამოძიებო ნაწილში წარადგინა განცხადება (იხ. დანართი #1) და ითხოვა თემირლან მაჩალიკაშვილის დაზარალებულად ცნობა, ხოლო თ. მაჩალიკაშვილის გარდაცვალების შემდგომ 2018 წლის 16 იანვარს EMC-იმ ამჯერად მალხაზ მაჩალიკაშვილის დაზარალებულის უფლებამონაცვლედ ცნობის მოთხოვნით მიმართა პროკურატურას (იხ. დანართი #2), თუმცა, ორივე განცხადება თბილისის პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის პროკურორის 2018 წლის 9 იანვრის და 18 იანვრის დადგენილებებით არ დაკმაყოფილდა. პროკურატურამ აღნიშნული მოტივაცია დაზარალებულად ცნობის სათანადო საფუძვლის არარსებობას და საქმეზე სხვადასხვა საგამოძიებო/საპროცესო მოქმედებების ჩატარებას , მათ შორის სასამართლო-სამედიცინო, გენეტიკური, ტრასოლოგიური, ბალისტიკური ექსპერტიზის შედეგების დადგომას დაუკავშირა.

ვინაიდან თბილისის პროკურატურის საგამოძიებო ნაწილი დაზარალებულის უფლებამონაცვლედ ცნობის საკითხს ცალკეული საგამოძიებო თუ საპროცესო მოქმედებების ჩატარებით დამდგარ შედეგებს უკავშირებდა, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ გადაწყვეტილებას EMC დაუსაბუთებლად მიიჩნევს, საქმის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით დაზარალებულის უფლებამონაცვლედ ცნობის თაობაზე კიდევ ერთი განცხადება წარდგენილი იქნა 2018 წლის 14 მარტს (დანართი #3). ამ

პერიოდისთვის საქმესთან კავშირი მყოფი გარემოებების დადგენის მიზნით დანიშნული ექსპერტიზების პასუხები უკვე ცნობილი იყო, პროკურატურის განმარტებით დგინდებოდა, რომ იდენტიფიცირებული და გამოკითხულია სპეცოპერაციაში მონაწილე პირები და სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნით დადგენილია, რომ *თემირლან მაჩალიკაშვილისთვის 2017 წლის 26 დეკემბერს ცეცხლსასროლი იარაღით მიყენებული დაზიანებები პირდაპირ მიზეზობრივ კავშირშია დამდგარ შედეგთან -სიკვდილთან*, რაც ბუნებრივად მიუთითებდა მალხაზ მაჩალიკაშვილისა და მისი ოჯახისთვის მიყენებულ ზიანზე და ქმნის დაზარალებულის უფლებამონაცვლედ ცნობის საფუძველს. აღნიშნულის მიუხედავად, პროკურორის 2018 წლის 16 მარტის დადგენილებით ჩვენი მოთხოვნა კვლავ არ დაკმაყოფილდა და უარის თქმის მიზეზად კვლავ მიეთითა, რომ გამოძიება მიმდინარეობდა უწყვეტ რეჟიმში და ამ დროისთვის არ არსებობდა დაზარალებულად ცნობის სამართლებრივი საფუძველი. პროკურორის აღნიშნული დადგენილება ძალაში იქნა დატოვებული საგამოძიებო ნაწილის უფროსის მოადგილის 2018 წლის 27 მარტის დადგენილებით (დანართი#4).

უნდა აღინიშნოს, რომ თბილისის პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის მოტივაცია მალხაზ მაჩალიკაშვილის დაზარალებულის უფლებამონაცვლედ ცნობის საკითხთან მიმართებით დაუსაბუთებელია და ეწინააღმდეგება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიზნებს, რამდენადაც ერთი მხრივ საქმეზე ამ დროისთვის უკვე ჩატარებული ყველა მნიშვნელოვანია საგამოძიებო/საპროცესო მოქმედება, ცნობილია მათი შედეგი, დადგენილია თ. მაჩალიკაშვილის გარდაცვალებასა და სპეციალური დანიშნულების რაზმის წევრის ქმედებას შორის მიზეზობრივი კავშირი, მეორე მხრივ კი მნიშვნელოვანია, რომ მოქმედი კანონმდებლობა პირის დაზარალებულად ან დაზარალებულის უფლებამონაცვლედ ცნობისთვის რაიმე მტკიცებულებით სტანდარტს არ ითვალისწინებს და მას მხოლოდ დანაშაულებრივი ქმედებით ზიანის მიყენების ვარაუდს უკავშირებს. ამასთან ერთად, მოქმედი კანონმდებლობის ანალიზით დგინდება, რომ დაზარალებულად ან დაზარალებულის უფლებამონაცვლედ ცნობისთვის საჭირო არ არის დანაშაულებრივი ქმედების ჩადენის დადასტურება, რამდენადაც დანაშაულებრივი ქმედება განხორციელდა თუ არა არის სასამართლოს შეფასების საკითხი და გამოძიების ეტაპზე საგამოძიებო ორგანო დანაშაულებრივი ქმედების ჩადენის ვარაუდს ეყრდნობა. უნდა აღინიშნოს, რომ მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობიდან გამომდინარე, დაზარალებულის უფლებამონაცვლედ ცნობა წარმოადგენს ერთადერთ საშუალებას დაზარალებულის უფლებამონაცვლე გაეცნოს საქმის მასალებს და მონიტორინგი გაუწიოს გამოძიების მიმდინარეობას. მიუხედავად იმისა, რომ მ. მაჩალიკაშვილს აქვს შესაძლებლობა პროკურატურის კეთილი ნების საფუძველზე გაეცნოს სისხლის სამართლის საქმის არასაიდუმლო ნაწილს, დაზარალებულის უფლებამონაცვლედ არცნობა, მას გარკვეულ სამართლებრივ პრობლემებს უქმნის, კერძოდ, ცალკეულ გარემოებებთან დაკავშირებით, ართულებს სასამართლოსთვის მიმართვის შესაძლებლობას. აღნიშნულთან ერთად დაზარალებულის/დაზარალებულის უფლებამონაცვლის სტატუსის მინიჭების მნიშვნელობა სისხლის სამართლის პროცესში დაზარალებულის/დაზარალებულის უფლებამონაცვლის განსაკუთრებულ მდგომარეობასაც უკავშირდება, რაც არსებითად გამოძიების პროცესში დაზარალებულის/დაზარალებულის უფლებამონაცვლის ჩართულობას და ამ გზით გამოძიების მიმდინარეობის მონიტორინგისა და ეფექტიანობის შეფასებას მოიცავს.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო საქმეში ,,საქართველოს მოქალაქე ხათუნა შუბითიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ ყურადღებას ამახვილებს დაზარალებულის მხრიდან საქმის სრულყოფილად გამოძიების, გამოვლენილი ქმედების ადეკვატური კვალიფიკაციისა და მიყენებული ზიანის ანაზღაურების ინტერესსზე[1] და აღნიშნავს, რომ ,,*სახელმწიფომ დანაშაულის გამოძიების, გახსნის და დამნაშავისთვის პასუხისმგებლობის დაკისრების მონოპოლიის განხორციელების პარალელურად აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს დაზარალებულის კანონიერი ინტერესები და*

[1]საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 30 სექტემბრის №1/8/594 გადაწყვეტილება

მოთხოვნები. სამართლებრივი სახელმწიფო ვალდებულია, განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს დანაშაულის მსხვერპლს და მისცეს მას მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში მისი ინტერესების რეალიზაციის შესაძლებლობა. მართალია, სახელმწიფო ვალდებული არ არის, დაზარალებულის ნებისმიერი მოთხოვნა და სურვილი დააკმაყოფილოს, მაგრამ მან, იმავდროულად, უნდა აღჭურვოს დაზარალებული მისი ინტერესებისა და უფლებების დაცვის საკმარისი და ეფექტური ბერკეტებით, ასევე უნდა გაუქარწყლოს დაუცველობის განცდა, გამორიცხოს მისი შემდგომი ვიქტიმიზაცია და ამ გზით უზრუნველყოს მართლმსაჯულებისადმი მისი ნდობა". საკონსტიტუციო სასამართლო განსაკუთრებულ აქცენტს დაზარალებულის პროცესში ჩართულობაზე აკეთებს და უთითებს, რომ ,,*დაზარალებული თავისი ინტერესით ბუნებრივად არის უფრო მეტი, ვიდრე უბრალოდ მოწმე, რაც, თავისთავად, მოითხოვს მის სათანადო და საკმარის ჩართულობას პროცესში. დაზარალებული ინფორმირებული უნდა იყოს საქმის მსვლელობის შესახებ მის ყველა ეტაპზე, ყველა კატეგორიის დანაშაულზე ჰქონდეს შესაძლებლობა,გაასაჩივროს, მათ შორის, სასამართლოში, დაზარალებულად ცნობასა და დევნის დაწყებაზე უარის თქმის, ისევე როგორც დევნის/გამოძიების შეწყვეტის შესახებ პროკურორის გადაწყვეტილება, მიიღოს სისხლის სამართლის საქმის მასალების ასლები, თუ ეს არ ეწინააღმდეგება გამოძიების ინტერესებს, უნდა მიეცეს პროცესზე დასწრების და განცხადებების, მოსაზრებების, მტკიცებულებების წარდგენის შესაძლებლობა. დანაშაულის მსხვერპლს, როგორც წესი, აქვს სურვილი და მისწრაფება, სისხლის სამართლის პროცესში მოისმინონ მისი ისტორია, განიხილონ და მხედველობაში მიიღონ მისი პოზიცია. დაზარალებულმა თავი უნდა იგრძნოს დაკმაყოფილებულად, ვინაიდან ის არის დანაშაულის ყველაზე პირდაპირი, უშუალო ობიექტი".*[2]

უფლების შეზღუდვის მსხვერპლებისთვის გამოძიების მიერ დაზარალებულის სტატუსის მინიჭებასა და შესაბამისი საპროცესო უფლებებით აღჭურვას ითხოვს ადამიანის უფლებების საერთაშორისო სტანდარტები. ეროვნული ხელისუფლების მიერ ეფექტური და ჯეროვანი გამოძიების სტანდარტების დარღვევა და კი შესაბამისი საერთაშორისო/რეგიონალური ინსტრუმენტების წინაშე სახელმწიფოსთვის პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველი გახდება.[3]

ადამიანის უფლებათა დაცვის კონვენციის მე-3 (წამების, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის აკრძალვა) და მე-13 (უფლება ეფექტურ სამართლებრივ საშუალებებზე) მუხლები ითვალისწინებს, რომ პირს, რომელიც გახდა ამ მუხლებით დაცული უფლებების დარღვევის მსხვერპლი აქვს უფლება ეფექტურ გამოძიებასა და სამართლებრივი დაცვის ეფექტურ საშუალებებზე ქვეყნის შიგნით. კონვენციის მე-3 მუხლი მოითხოვს, რომ დაზარალებული იმ ხარისხით იყოს ჩართული გამოძიების პროცესში, რომ საკმარისად იყოს დაცული გამოძიების მიმართ არსებული მისი ლეგიტიმური ინტერესები.[4] კონვენციის მე-3 მუხლის ფარგლებში ევროპული სასამართლო ცალკე კრიტერიუმად იხილავს გამოძიების პროცესში დაზარალებულის მონაწილეობის (ჩართულობის) საკითხს. მოქმედი პრეცედენტული სამართლის შესაბამისად დაზარალებული უნდა იყოს სათანადოდ ინფორმიერებული გამოძიების მიმდინარეობის მნიშვნელოვანი გარემოებების თაობაზე.[5] საქმეში

---

[2]საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 30 სექტემბრის №1/8/594 გადაწყვეტილება

[3]ამ მიმართებით იხილეთ საქართველოს წინააღმდეგ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები საქმეებზე - *გირგვლიანი და ენუქიძე საქართველოს წინააღმდეგ, იდენტობა და სხვები საქართველოს წინააღმ დეგ, გლდანის კონგრეგაციის 97 წევრი და ოთხი სხვა პირი საქართველოს წინააღმდეგ*.

[4]იხ .*Anguelova v. Bulgaria*, no. 38361/97, § 140.

[5]იხ .*Asadulayeva and others v. Russia,* No. 15569/06, Judgment dated 17 September 2009. § 98, 102. *Varnava and others v. Turkey*, § 191.

Ognyanova and Choban v. Bulgaria ევროპულმა სასამართლომ დაადგინა მე-2 მუხლის [6] დარღვევა მათ შორის, იმ გარემოების გამო, რომ გამოძიების მიერ არ ხდებოდა განმცხადებლის თანმიმდევრული ინფორმირება გამოძიების პროგრესის შესახებ ადვოკატების არაერთი მოთხოვნის მიუხედავად. ამასთან, ევროპულმა სასამართლომ მიუთითა, რომ განმცხადებელს უნდა ჰქონდეს ხელმისაწვდომობა გამოძიების მასალების მიმართ იმ ხარისხით, რომ მან ეფექტურად შეძლოს მონაწილეობის მიღება წინასწარი გამოძიების მიერ მიღებული (შემაჯამებელი) გადაწყვეტილების გასაჩივრების პროცესში. [7]

აღნიშნულის გათვალისწინებით, გაუგებარია უკვე ჩატარებული საგამოძებო/საპროცესო მოქმედებების შედეგების და კანონმდებლობის მოთხოვნების გათვალისწინებით, რატომ არ ენიჭება მ. მაჩალიკაშვილს დაზარალებულის უფლებამონაცვლის სტატუსს.

3. სახელმწიფო საიდუმლოების შემცველ მასალებზე წვდომის არარსებობა

თ. მაჩალიკაშვილის სიცოცხლის ხელყოფის ფაქტზე მიმდინარე სისხლის სამართლის საქმე შეიცავს სახელმწიფო საიდუმლოების შემცველ მასალებს, რომელზეც წვდომის შესაძლებლობას მალხაზ მაჩალიკაშვილების ადვოკატები სრულად არიან მოკლებულნი, სახელმწიფო საიდუმლოების შემცველ მასალებზე დაშვების ნებართვის არარსებობის არგუმენტით.

მასალების გაცნობის მოთხოვნით EMC მიერ 2018 წლის 14 თებერვალს თბილისის პროკურატურის საგამოძიებო ნაწილში წარდგენილი იქნა დასაბუთებული განცხადება და მოთხოვნილი იქნა საქმის სახელმწიფო საიდუმლოების შემცველ მასალებზე სრული წვდომა. თუმცა, თბილისის პროკურატურის 2018 წლის 3 მარტის გადაწყვეტილებით, EMC-ის განსახილველი სისხლის სამართლის საქმეში არსებული სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი მასალების გაცნობაზე ეთქვა უარი იმ არგუმენტით, რომ განმცხადებლების მიერ არ იყო წარდგენილი განსახილველ სისხლის სამართლის საქმეში სახელმწიფო საიდუმლოების შემცველ მასალებზე დაშვებაზე საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ ,,სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის საფუძველზე გაცემული ნებართვა.

იმის მიუხედავად, რომ პროკურატურის აღნიშნულ მოტივაციას EMC დაუსაბუთებლად მიიჩნევდა, საქმის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით, დასახელებული ნებართვის მისაღებად, 2018 წლის 16 მარტს განცხადებით (იხ. დანართი #5) მივმართეთ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს და ვითხოვეთ თბილისის პროკურატურის საგამოძიებო ნაწილში მიმდინარე N043261217801 სისხლის სამართლის საქმეში არსებულ სახელმწიფო საიდუმლოების შემცველ მასალებზე ,,სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვით ინდივიდუალური დაშვების ნებართვა. აღნიშნულთან დაკავშირებით, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის 2018 წლის 23 აპრილის გადაწყვეტილებით (დანართი#6) უარი გვეთქვა სისხლის სამართლის საქმეში არსებულ სახელმწიფო საიდუმლოების შემცველ მასალებზე ინდივიდუალური დაშვების ნებართვის გაცემაზე იმ საფუძვლით, რომ მოცემულ შემთხვევაში არ არსებობდა სახელმწიფო საიდუმლოებასთან დაშვების მქონე სახელმწიფო ორგანო ან იურიდიული პირი. აღნიშნული გადაწყვეტილება ამჟამად EMC-ის მიერ გასაჩივრებულია სასამართლოში.

EMC მიიჩნევს, რომ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის და პროკურატურის გადაწყვეტილება არ მისცენ მალხაზ მაჩალიკაშვილის ადვოკატებზე სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი მასალების გაცნობის შესაძლებლობა დაუსაბუთებელი და უკანონოა, რამდენადაც ,,სახელმწიფო საიდუმლოების

---

[6] აღსანიშნავია, რომ ევროპულ სასამართლოს კონვენციის მე-2 და მე-3 მუხლებით დაცული ეფექტიანი გამოძიების სტანდარტებს ერთმანეთთან ურთიერთკავშირში განიხილავს.

[7] იხ .*Ramsahai and others v. Netherlands*, no. 52391/99, § 349.

შესახებ“ საქართველოს კანონი პირდაპირ ითვალისწინებს შესაძლებლობას შესაბამისი პირობების არსებობისას სახელმწიფო საიდუმლოებაზე ინდივიდუალური დაშვება მიიღოს ფიზიკურმა **პირებმა მათი პროფესიული და სამსახურებრივი საჭიროებიდან გამომდინარე, შესაბამისი დაცვითი მექანიზმების გამოყენებით.** მოცემულ შემთხვევაში, თ. მაჩალიკაშვილის სიცოცხლის ხელყოფის ფაქტზე მიმდინარე გამოძიების ფარგლებში სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი ინფორმაციის გაცნობის საჭიროების მქონე პირად უნდა განვიხილოთ ადვოკატები, რამდენადაც მათი პროფესიული მოვალეობის ეფექტურად შესრულების მიზნით მნიშვნელოვანია ჰქონდეთ შესაძლებლობა გაეცნონ ამ ინფორმაციას, მოახდინონ მისი შეფასება და საჭიროების შემთხვევაში საგამოძიებო ორგანოს წინაშე კონკრეტული მოთხოვნების დაყენება გამოძიების ეფექტურად წარმოების მიზნით.

საგამოძიებო ორგანოს ზეპირი განმარტებით დგინდება, რომ დასახელებული საქმის მასალები არსებითად მოიცავს 2017 წლის 26 დეკემბერს **თ. მაჩალიკაშვილის საცხოვრებელ სახლში მყოფი და სროლის განმახორციელებელი სპეცრაზმელების ჩვენებებს,** რომელთა შინაარსის გაცნობა მნიშვნელოვანია დაზარალებული პირისთვის გამოძიების პროცესის მონიტორინგისა და საკუთარი საპროცესო უფლებების რეალიზებისთვის. სპეცრაზმელთა ჩვენებები ცხადია, უნდა უთითებდეს საქმის სამართლებრივი შედეგისთვის მნიშვნელოვან გარემოებებზე და აღნიშნული ინფორმაციის გაცნობამდე ადვოკატებს და დამოუკიდებელ ექსპერტებს არ აქვთ შესაძლებლობა შეაფასონ მომხდარის ირგვლივ სპეცრაზმელების განმარტებები, მოახდინონ უკვე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებთან მათი შესაბამისობის საკითხის გარკვევა, შეაფასონ თუ რამდენად ეფექტურად და სწორად მიმდინარეობს გამოძიება და შესაბამისად, გამოძიების წინაშე დააყენონ რელევანტური მოთხოვნები. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ EMC თბილისის პროკურატურის საგამოძიებო ნაწილისგან ითხოვს დეტალურად იქნეს შესწავლილი 1. სპეცოპერაციისა და სპეციალური დანიშნულების რაზმის მიერ ძალის გამოყენების პირობებისა და წესის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტები; 2. 26 დეკემბერს ჩატარებული სპეცოპარაციის შესახებ სუს-ის მიერ მიღებული გადაწყვეტილების ასლი და სხვა რელევანტური აქტები, რომელიც სპეცოპერაციას უკავშირდება. 3. სუს-ის იმ თანამშრომლების ჩვენებები, რომლებიც პასუხისმგებლები იყვნენ სპეცოპერაციის დაგეგმვასა და განხორციელებაზე; 4. სპეცრაზმელების მიერ ძალის გამოყენების შესახებ დოკუმენტირებული ანგარიშების ასლები, რომელიც მათ ზემდგომ თანამადებობის პირებთან უნდა წარედგინათ სამართალდამცავი პირების მიერ ძალისა და ცეცხლის გამოყენების შესახებ გაეროს პრინციპების შესაბამისად[8].

აღსანიშნავია, რომ დასახელებული სამართლებრივი აქტები საქმეში ასევე გასაიდუმლოებულია და ადვოკატებს არ აქვთ შესაძლებლობა გამოიკვლიონ რამდენად იყო შესაბამისობაში სპეცოპერაციის დაგეგმვის, გადაწყვეტილებების მიღების და სპეცრაზმელთა ქმედებები დადგენილ სტანდარტებთან. აღნიშნულ მასალაზე წვდომის სრული შეზღუდვა ოჯახს გამოძიების ყველაზე მნიშვნელოვან გარემოებების შემოწმების შესაძლებლობას ართმევს და არსებითად უზღუდავს გამოძიებაზე ეფექტიანი კონტროლის განხორციელების და მის მიმართ ნდობის შესაძლებლობას.

4. ინსტიტუციური დამოუკიდებლობის, მტკიცებულებების განადგურების/ფალსიფიკაციის პრობლემა

განსახილველი სისხლის სამართლის საქმის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ხარვეზს წარმოადგენს ის გარემოება, რომ გამოძიების პირველივე ეტაპზე ყველაზე მნიშვნელოვანი საგამოძიებო მოქმედებები ჩატარდა და მტკიცებულებები მოპოვებული იქნა ინსტიტუციური დამოუკიდებლობის სტანდარტის დარღვევით, დაინტერესებული მხარის - სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ, ხოლო ცალკეული მტკიცებულებები განადგურდა, ან არსებობს ეჭვი მათი ფალსიფიკაციის თაობაზე.

გამოძიების ინსტიტუციური დამოუკიდებლობის სტანდარტი განსახილველ საქმეში გულისხმობს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 35-ე მუხლში მითითებული საგამოძიებო

[8] http://www.ohchr.org/EN/ProfessionalInterest/Pages/UseOfForceAndFirearms.aspx

ქვემდებარეობის პრინციპის დაცვას. აღნიშნული მუხლის თანახმად, საგამოძიებო ქვემდებარეობას განსაზღვრავს ,,სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო და ტერიტორიული საგამოძიებო ქვემდებარეობის განსაზღვრის თაობაზე" საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2013 წლის 7 ივლისის N34 ბრძანება, რომლის მე-2 და მე-3 მუხლების შესაბამისად საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლის მიერ სავარაუდოდ ჩადენილი დანაშაულის გამოძიებას პროკურატურის საგამომძიებო ნაწილი უზრუნველყოფს. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამისად გამოძიება გულისხმობს დანაშაულთან დაკავშირებული მტკიცებულებების მოპოვებას, რაც კონკრეტული საგამოძიებო მოქმედებების განხორციელებითაა უზრუნველყოფილი. აღნიშნულის შესაბამისად, საგამოძიებოს ქვემდებარეობის დაცვით საგამოძიებო მოქმედებები ჩატარებული უნდა იქნეს იმ საგამოძიებო ორგანოს მიერ, რომელსაც აქვს უფლება აწარმოოს კონკრეტული სისხლის სამართლის საქმის გამოძიება. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებები განიხილება არაუფლებამოსილი პირის მიერ ჩატარებულად და მათ საფუძველზე მოპოვებული მტკიცებულებები უკანონო მტკიცებულებებად. აღნიშნულთან ერთად, ინსტიტუციური დამოუკიდებლობის პრინციპი არსებითად უკავშირდება ყოველმხრივი, სრული და ობიექტური გამოძიების სტანდარტს, რომლის დაკმაყოფილებისთვის აუცილებელია საქმის გამოძიების პროცესიდან იმ საგამოძიებო ერთეულის თანამშრომელთა ჩამოშორება, რომლებიც შესაძლოა რაიმე ფორმით იყვნენ საქმესთან დაკავშირებულნი და ჰქონდეთ დაინტერესება საქმის შედეგით. მითითებული პროცედურა დანაშაულებრივ ქმედებასთან შესაძლო კავშირში მყოფის უწყების თანამშრომლების სუბიექტური დაინტერესების პირობებში არარელევანტური საგამოძიებო მოქმედებების, მტკიცებულებათა დამალვის/ფალსიფიკაციის შესაძლებლობის მინიმუმამდე დაყვანისა და გამოძიების პროცესის ობიექტურად წარმართის შესაძლებლობას იძლევა. განსახილველ შემთხვევაში კი სისხლის სამართლის საქმის მასალებით დასტურდება, რომ მას შემდეგ რაც სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის სპეციალური დანიშნულების რაზმის წევრმა თ. მაჩალიკაშვილის მიმართ გასროლა განახორციელა და დაჭრილი თ. მაჩალიკაშვილი საავადმყოფოში გადაიყვანეს, საძინებელ ოთახში და საცხოვრებელ სახლში საგამოძიებო მოქმედებები განახორციელეს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის გამომძიებლებმა. კერძოდ, მალხაზ მაჩალიკაშვილის საცხოვრებელ სახლში ჩატარებული იქნა ჩხრეკა და ამოღებული იქნა მობილური ტელეფონები, კომპიუტერის პროცესორი, ხოლო თემირლან მაჩალიკაშვილის საძინებელი ოთახიდან ამოღებული იქნა ხელყუმბარა, რომელის გააქტიურებასაც სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ვერსიით თემირლან მაჩალიკაშვილი ცდილობდა, რასაც მის მიმართ გასროლის განხორციელება მოჰყვა. აღნიშნულთან ერთად ამოღებული იქნა თემირლან მაჩალიკაშვილის კუთვნილი მობილური ტელეფონი და სავარაუდოდ ყურსასმენი.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლების მიერ, თ. მაჩალიკაშვილის მიმართ განხორციელებული გასროლის შემდგომ, საგამოძიებო მოქმედებების ჩატარება ცალსახად არღვევს ინსტიტუციური დამოუკიდებლობის პრინციპს, რამდენადაც სუს-ის თანამშრომლის მხრიდან გასროლის განხორციელების შემდგომ ორგანო დაინტერესებულ პირად გადაიქცა, რომელმაც შესაძლოა ქმედებებით ხელი შეუშალოს გამოძიების მიმდინარეობას. შესაბამისად მსგავსი დაინტერესებული პირის მიერ ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებებით მოპოვებული მტკიცებულებების ვალიდურობა ეჭვქვეშ დგება. მით უფრო იმ პირობებში, რომ გასროლის შემდგომ სახლზე დაახლოებით სამი საათის განმავლობაში ფაქტობრივ კონტროლს სუს-ის თანამშრომლები ახორციელებდნენ და თ. მაჩალიკაშვილის ოჯახის წევრებს არ ჰქონიათ შესაძლებლობა ეკონტროლებინათ მათი ქმედებები.

მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლებმა ამოღებული მტკიცებულებითი მნიშვნელობის საგნები მაშინვე არ წარუდგინეს თბილისის პროკურატურის საგამოძიებო ნაწილს და მათი წარდგენა მომხდარი ფაქტიდან <u>დაახლოებით ორი თვის შემდგომ, უკვე ჩატარებული საექსპერტო კვლევების შედეგებთან ერთად უზრუნველყვეს.</u>

უნდა აღნიშნოს, რომ 2017 წლის 26 დეკემბერს სუს-ის მიერ ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებებით ამოღებული მტკიცებულებების თბილისის პროკურატურის საგამოძიებო ნაწილისთვის გადაცემის

საკითხს EMC გამოძიების საწყისი ეტაპიდანვე აყენებდა. 2018 წლის 26 იანვარს (დანართი#7) კიდევ ერთი ვრცელი და დასაბუთებული განცხადება წარედგინა საგამოძიებო ორგანოს და მოთხოვნილი იქნა ამოღებული მტკიცებულებების პროკურატურისთვის გადმოცემა და განსახილველ სისხლის სამართლის საქმის მასალებზე დართვა. **მოთხოვნების მიუხედავად, საგამოძიებო ორგანომ მხოლოდ 2018 წლის 8 თებერვალს მიმართა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს ზემოთ აღნიშნული მოთხოვნით, რაც დაახლოებით 10 დღის შემდგომ დაკმაყოფილდა.**

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ გამოძიების ინსტიტუციური დამოუკიდებლობის პრინციპის დარღვევა ამოღებული ხელყუმბარის ფალსიფიკაციის და თ. მაჩალიკაშვილის მხრიდან წინააღმდეგობის გაწევის ვერსიის დაუსაბუთებლობაზე მიუთითებს. კერძოდ, განსახილველი სისხლის სამართლის საქმის მასალებით ამ დრომდე არ დგინდება ხელყუმბარის თავდაპირველი განთავსების ადგილი. კერძოდ, საქმის მასალებში არსებული ფოტოსურათებით დგინდება, რომ სუს-ის თანამშრომლის (გამნაღმველის) მიერ თითქოსდა დეტონირებული ხელყუმბარა განთავსებული იყო საძინებელი ოთახის მარცხენა მხარეს მდებარე ხალიჩაზე, თუმცა სუს-ის თანამშრომლების მიერ ჩატარებული ჩხრეკის/ამოღების ოქმებში არ არის მითითებული ხელყუმბარის თავდაპირველი ლოკაცია. აღნიშნულის დასადგენად, მ. მაჩალიკაშვილის ადვოკატების მიერ მოთხოვნილი იქნა გამნაღმველის გამოკითხვა და მიწოდებული ინფორმაციის გაცნობა. თბილისის პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის განმარტებით, გამოკითხვა განხორციელდა, თუმცა მიწოდებული ინფორმაცია არ არის ჩვენთვის ხელმისაწვდომი მასში სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი მასალების არსებობის არგუმენტით. აღნიშნულთან ერთად, თ. მაჩალიკაშვილის საძინებელ ოთახში ხელყუმბარის არსებობის საეჭვოობაზე, ამოღებულ ხელყუმბარაზე ჩატარებული ექსპერტიზის შედეგები და სუს-ის თანამშრომლების მიერ ზემოთ აღნიშნულის შესაბამისად მაჩალიკაშვილების საცხოვრებელი სახლის რამდენიმე საათიანი კონტროლიც მიუთითებს. თითქოსდა ამოღებულ ხელყუმბარაზე სუს-ის მიერ დანიშნული დაქტილოსკოპიური ექსპერტიზის თანახმად, ხელყუმბარის კორპუსზე არ აღმოჩნდა იდენტიფიკაციისთვის საკმარისი თითის ანაბეჭდი, ხოლო ფალიაზე საერთოდ არ იქნა აღმოჩენილი ანაბეჭდები. ბიოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის შესაბამისად, ხელყუმბარაზე აღმოჩნდა თ. მაჩალიკაშვილის გენეტიკური პროფილის იდენტური მასალა სისხლის ლაქის სახით. უნდა აღინიშნოს, რომ ხელყუმბარაზე გენეტიკური პროფილის გაჩენა განსაკუთრებულ სირთულეს არ უკავშირდება, რადგან როგორც უკვე აღინიშნა თ. მაჩალიკაშვილის მიმართ გასროლის შემდგომ სამი საათის განმავლობაში საცხოვრებელ სახლს სუს-ის თანამშრომლები აკონტროლებდნენ და მათ თავისუფლად შეეძლოთ ხელყუმბარაზე თ. მაჩალიკაშვილის გენეტიკური პროფილის გადატანა.

თ. მაჩალიკაშვილის მიერ ხელყუმბარის ფლობის და წინააღმდეგობის გაწევის შესაძლებლობის დაუსაბუთებლობაზე მიუთითებს ამ დროისთვის სისხლის სამართლის საქმეში ცნობილი გარემოებები. კერძოდ, ამ დრომდე ოჯახის წევრებს და ადვოკატებს არ წარდგენიათ რამე მტკიცებულება რაც პირდაპირ მიუთითებდა თ. მაჩალიკაშვილის მხრიდან ხელყუმბარის ფლობის ფაქტზე. ამასთან ერთად, საქმის მასალების მიხედვით თ. მაჩალიკაშვილის მიმართ გასროლის შედეგად დარჩენილი ტყვიის კვალი აღმოჩენილი მისი საწოლის თავზე, რაც მაღალი ალბათობით, გასროლის მომენტში ამ უკანასკნელის მწოლიარე მდგომარეობაზე უთითებს და გამორიცხავს წინააღმდეგობის გაწევის შესაძლებლობას. უნდა აღინიშნოს, რომ ამ გარემოების დასადასტურებლად დანიშნულია შესაბამისი კომპლექსური ექსპერტიზა, რომლის შედეგებიც უახლოეს მომავალში გასაჯაროვდება.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ თბილისის პროკურატურისთვის გადაცემული საგამოძიებო მოქმედებების ოქმებით და ექსპერტიზის დასკვნებით დგინდება, რომ ამოღებულ ხელყუმბარაზე ბიოლოგიური, დაქტილოსკოპიური და ბალისტიკური კვლევები სუს-ის მიერ იყო დანიშნული, ხოლო ბალისტიკური კვლევის ფარგლებში, სუს-ის მოთხოვნის საფუძველზე ხელყუმბარას ჩაუტარდა საბრძოლო გამოცდა, რამაც მისი განადგურება გამოიწვია. შესაბამისად, აღნიშნულ ხელყუმბარაზე ექსპერტიზის ჩატარების შესაძლებლობა პროკურატურის საგამოძიებო ნაწილს აღარ გააჩნია. უნდა აღინიშნოს, რომ განსახილველ შემთხვევაში, ხელყუმბარის ვარგისიანობის

დადგენას სამართლებრივი მნიშვნელობა არ გააჩნდა, რის გამოც მისი განადგურება კიდევ ერთხელ უთითებს სუს-ის პირად დაინტერესებაზე და გამოძიებისთვის ხელშეშლის ინტერესზე.

მნიშვნელოვანია, რომ საქმეში ერთ-ერთ პრობლემურ გარემოებას წარმოადგენს, შემთხვევის ადგილიდან გასროლის შემდგომ დარჩენილი მასრის ამოუღებლობა, რამაც არსებითად გაართულა სროლის მანძილის განსაზღვრა. მასრა, დაახლოებით ორი თვის შემდგომ იქნა წარდგენილი პროკურატურის საგამოძიებო ნაწილში და სუს-ის განმარტებით, მასრის შემთხვევის ადგილიდან ამოღების პრობლემა დაკავშირებული იყო იარაღის ნაწილის დაზიანებასთან, რამაც ავტომატში მასრის გაჭედვა გამოიწვია. იარაღიდან მასრის ამოღების შემდგომ შეცვალეს დაზიანებული ნაწილი და ცეცხლსასროლი იარაღი ბალისტიკურ ექსპერტიზაზე შეცვლილი დეტალით იქნა გადაგზავნილი, რამაც შემდგომი ექსპერტიზების შედეგებზე იმოქმედა. კერძოდ, მასრის არარსებობის გამო შეუძლებელი გახდა სროლის მანძილის განსაზღვრა, ხოლო იარაღის შემდგომი ბალისტიკური ექსპერტიზით ვერ დადგინდა იყო თუ არა დაზიანებული კონკრეტული დეტალი.

მითითებულიდან გამომდინარე, ბუნებრივად დგას მტკიცებულების ფალსიფიკაციის საკითხი, რაც გავლენას ახდენს გამოძიების სამართლებრივ შედეგებზე და უთითებს პირად დაინტერესებაზე.

5. ცალკეული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების და მტკიცებულებების მოპოვების პრობლემა

განსახილველ სისხლის სამართლის საქმეზე, თბილისის პროკურატურის საგამოძიებო ნაწილში მიმდინარე გამოძიების ფარგლებში EMC ითხოვს 2017 წლის 26 დეკემბერს თ. მაჩალიკაშვილის მიმართ ჩატარებული სპეცოპერაციის დროს გამოყენებული ძალის კანონიერების საკითხის შესწავლას (იხ. დანართი N7) , რომლის ქვეშაც საგამოძიებო ორგანომ დეტალურად უნდა შეისწავლოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ 2017 წლის 26 დეკემბერს თ. მაჩალიკაშვილის მიმართ ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების დაგეგმვის ეტაპები. კერძოდ, განისაზღვროს საგამოძიებო მოქმედების ჩატარებაზე პასუხისმგებელი პირები და უწყებები, როგორი იყო მათი სტრატეგია, ჰქონდათ თუ არა ერთმანეთთან საკმარისი კოორდინაცია, რატომ იქნა გადაწყვეტილება მიღებული საგამოძიებო მოქმედების ამ ფორმით ჩატარებაზე და რატომ არ იქნა სხვა ვითარებაში ჩატარების საკითხი განხილული.

საგამოძიებო მოქმედების განხორციელების საკითხის შესაფასებლად მნიშვნელოვანია, საგამოძიებო ორგანომ შეისწავლოს გადაწყვეტილებაზე პასუხისმგებელ პირებს ჰქონდათ თუ არა დასაბუთებული ინფორმაცია, რაც გახდა საგამოძიებო მოქმედების ამ ფორმით ჩატარების წინაპირობა. აქედან გამომდინარე, საგამოძიებო ორგანომ უნდა შეისწავლოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს რამდენად ჰქონდა დასაბუთებული ინფორმაცია, რომ პირებს, რომელთა მიმართაც უნდა განხორციელებულიყო საგამოძიებო მოქმედება, მათ ჰქონდათ ცეცხლსასროლი იარაღით წინააღმდეგობის გაწევის შესაძლებლობა და იყო თუ არა აღნიშნული ინფორმაცია გადამოწმებული. ამასთან ერთად, მნიშვნელოვანია ყურადღება გამახვილდეს იმაზე საგამოძიებო მოქმედების დაგეგმვის წინ, სამსახურმა იმუშავა თუ არა რისკების მინიმალიზების საკითხზე, გაიცა თუ არა მითითებები ნაკლებად დამაზიანებელი იძულების მექანიზმების გამოყენების თაობაზე. ამგვარი ინფორმაციის დაუზუსტებლობის, ან არარსებობის პირობებში კერძოდ, როდესაც საგამოძიებო ორგანოს არ აქვს წარმოდგენა რამდენად რეალურია სამართალდამრღვევების მხრიდან საბრძოლო წინააღმდეგობის გაწევა, მათ არ აქვთ შესაძლებლობა ზუსტად შეაფასონ საგამოძიებო მოქმედების განხორციელების პირობები, რამაც შესაძლოა მოქმედების განმახორციელებელი პირის მხრიდან შეცდომის დაშვების რისკები გაზარდოს, რაც თავის მხრივ გავლენას ახდენს კანონიერებისა და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხზე.

თემირლან მაჩალიკაშვილის მიმართ გამოყენებული ძალის კანონიერების საკითხის შესწავლისას აგრეთვე მნიშვნელოვანია საგამოძიებო ორგანომ შეესწავლა საგამოძიებო მოქმედებაში მონაწილე პირთა გადამზადების, მათთვის მიცემული ინსტრუქციებისა და უშუალოდ საგამოძიებო მოქმედების

განხორციელების დროს სპეციალური დანიშნულების რაზმის წევრების მოქმედებების ადეკვატურობა. კერძოდ, ,,საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების შესახებ" საქართველოს კანონის 23-ე მუხლის თანახმად, საგამოძიებო მოქმედების დროს, მოსამსახურე უფლებამოსილია ცეცხლსასროლი იარაღი და სპეციალური საშუალებები მხოლოდ იმ შემთხვევაში გამოიყენოს, თუ მას გავლილი აქვს სპეციალური მომზადება, ხოლო 26-ე მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად *,,პირის მიმართ ცეცხლსასროლი იარაღის აქტიურ გამოყენებას წინ უნდა უძღოდეს მისი გამოყენების შესახებ სიტყვიერი გაფრთხილება, შემდეგ – გამაფრთხილებელი გასროლა. აუცილებლობის შემთხვევაში შეიძლება გამაფრთხილებელი გასროლა არ განხორციელდეს.",* ამავე მუხლით ასევე გათვალისწინებულია გაფრთხილების გარეშე გასროლის შესაძლებლობა, რაც უმთავრესად დაკავშირებულია აუცილებელი მოგერიებისა და უკიდურესი აუცილებლობის საკითხთან. აღნიშნული დანაწესებით დადგენილი წესის გამო, საგამოძიებო ორგანომ დეტალურად უნდა შეისწავლოს ჰქონდათ თუ არა საგამოძიებო მოქმედებების განმახორციელებელ პირებს სათანადო მომზადება გავლილი, როდის გაიარეს, როგორი იყო მეთოდოლოგია. ამავე დროს, კი უნდა შეფასდეს, ადგილზე თ. მაჩალიკაშვილის მიმართ გასროლის განხორციელებამდე არსებობდა თუ არა წინასწარი გაფრთხილების შესაძლებლობა და განხორციელდა თუ არა, აღნიშნული დეტალის გარკვევა კიდევ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს იმ პირობებში, როდესაც ადგილზე მყოფი ოჯახის წევრების განმარტებით, სპეციალური რაზმის წევრებმა გასროლა მყისიერად გაფრთხილების გარეშე განახორციელეს. აქვე მნიშნელოვანია შეფასდეს საგამოძიებო მოქმედების განხორციელების დროს იღებდნენ თუ არა რაიმე ინსტრუქციების სპეციალური რაზმის წევრები და როგორია ინსტრუქციების გაცემის სამართლებრივი რეჟიმი.

საგამოძიებო მოქმედებისა და კონკრეტულ პირთა პასუხისმგებლობის საკითხის შეფასებისას მნიშვნელოვან ინფორმაციას შეიძლება იძლეოდეს საგამოძიებო მოქმედებების დასრულების შემდგომ პასუხისმგებელ პირთა ანგარიშები, კერძოდ, ,,საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების შესახებ" საქართველოს კანონის 26-ე მუხლის მე-10 პუნქტის თანახმად: *,,მოსამსახურე ვალდებულია ცეცხლსასროლი იარაღის აქტიური გამოყენების შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს უშუალო უფროსსა და პროკურორს"* . შესაბამისად, EMC-ის მიერ მოთხოვნილი იქნა აღნიშნული ანგარიშების შესწავლია, რაც საგამოძიებო ორგანოს შესაძლებლობას მისცემდა შეეფასებინა მოქმედებების განვითარება, კონკრეტული ქმედების მიზეზები და ანგარიშში დაფიქსირებული ინფორმაციის საქმის ფაქტობრივ გარემოებებთან შეუთავსებლობის შემთხვევაში ეჭვქვეშ დაეყენებინა შესაბამისი პირების სანდოობის საკითხი.

მითითებული გარემოებების შესწავლას სახელმწიფო ორგანოების მიერ მოქალაქის მიმართ გამოყენებული ძალის კანონიერების საკითხის შესაფასებლად ითხოვს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტებიც. კერძოდ, ევროპული კონვენცია და სასამართლო პრაქტიკა ამომწურავად განსაზღვრავს ლეტალური ძალის გამოყენების დასაშვებ შემთხვევებს.[9] კონვენციის მე-2 მუხლი კრძალავს სახელმწიფოს აგენტების მიერ სიცოცხლის მოსპობას, როგორც განზრახ ისე გაუფრთხილებლობით და ასეთ შედეგს დასაშვებად მიიჩნევს, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს **აბსოლუტურ აუცილებლობას** წარმოადგენს, პირის სიცოცხლის ან მართლსაწინააღმდეგო ძალადობისგან დაცვისთვის. სასამართლო აბსოლუტურ აუცილებლობას თანაზომიერების ტესტზე უფრო მაღალ ხარისხში განიხილავს.[10] სასამართლომ ჩამოაყალიბა მიდგომა, რომლის მიხედვით პოტენციურად სასიკვდილო საშუალებების გამოყენება შეუძლებელია 'აბსოლუტურად აუცილებელი'

---

[9] სამართალდამცავი ორგანოების მიერ ძალის გამოყენებასთან მიმართებით დამატებით გარანტებს ადგენს სარეკომენდაციო სახის თუმცა მნიშვნელოვანი გაეროს დოკუმენტები (soft law): გაეროს 1979 წლის სამართალდამცავების ქცევის კოდექსი (CCLEO) of 1979 და გაეროს 1990 წლის ძირითადი პრინციპები სამართალდამცავების მიერ ძალის და იარაღის გამოყენებაზე ;

[10] Stewart v. UK, Commission decision dated 10/07/1984;

იყოს, როდესაც ცნობილია რომ პირი *არ წარმოადგენს საფრთხეს სიცოცხლისთვის და ჯანმრთელობისთვის (life or limb) ან/და მას მძიმე დანაშაულის ჩადენაში არ ედება ბრალი*, მაშინაც კი როდესაც ასეთი ძალის გამოუყენებლობამ შესაძლოა პირის დაკავების შესაძლებლობა გაუშვას ხელიდან'. [11]

ევროპული სასამართლო კონკრეტულად სამართალდამცავების ან უსაფრთხოების სამსახურების წარმომადგენლების მიერ ძალის მხოლოდ აბსოლუტური აუცილებლობის დროს გამოყენების გარდა, სახელმწიფოს პასუხისმგებლობას უკავშირებს წინასწარ განსაზღვრულ **სამართლებრივ ჩარჩოს**. სასამართლო უთითებს, რომ სიცოცხლისთვის საფრთხის შემცველი საპოლიციო ღონისძიებები, კერძოდ სამართალდამცავების მიერ ძალის და იარაღის გამოყენება, საკმარისად უნდა იყო რეგულირებული ეროვნული კანონმდებლობით, რომელიც გაითვალისწინებს საკმარის გარანტიებს თვითნებობის და ძალის გადამეტების რისკების წინააღმდეგ. საქმეზე *Makaratzis v. Greece* და *Soare and others v. Romania* სასამართლომ დარღვევა დაადგინა სწორედ ეროვნული კანონმდებლობის ხარვეზების გამო (კანონმდებლობა ძალის გამოყენების შემთხვევისთვის, ასევე ოპერაციების დაგეგმვისა და განხორციელებისთვის სახელმძღვანელო წესებს არ განსაზღვრავდა)[12], იმის მიუხედავად, რომ თავად ოპერაციის განხორციელებაც პრობლემური იყო. საქმეზე *Nachova da others v. Bulgaria*, სასამართლომ სიცოცხლის უფლების დაცვასთან მიმართებით არაადეკვატურად მიიჩნია კანონმდებლობა, რადგან ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების შესახებ არსებული რეგულირებები საჯაროდ ხელმისაწვდომი არ იყო, ამავე დროს არ შეიცავდა საკმარის დაცვის გარანტიებს.[13]

სასამართლო ასევე მსჯელობს ოპერაციის **დაგეგმვის და განხორციელების დროს**[14] სიცოცხლის დაცვის ვალდებულებაზე. სასამართლოს განმარტებით, კონვენციის მე-2 მუხლთან შესაბამისობისთვის ყველაფერი უნდა გაკეთდეს ლეტალური ძალის გამოყენების ან "შემთხვევითი" სიცოცხლის მოსპობის შემთხვევების მინიმუმამდე დაყვანისთვის.[15] ამისთვის ოპერაციის დროს სამართალდამცავებისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს ალტერნატიული გამანეიტრალებელი საშუალებები (მაგ. წყლის ზარბაზნები ან რეზინის ტყვიები), რაც ავტომატურად ლეტალური ძალის გამოყენების აუცილებლობას დააზღვევს.[16] ამასთან, მკაფიოდ უნდა იყოს განსაზღვრული ოპერაციის განხორციელების სხვადასხვა ეტაპზე ჩართული სამართალდამცველების უფლება-მოვალეობები, ასევე მათ **შესაბამისი გადამზადება** უნდა ჰქონდეთ გავლილი. [17]

საქმეზე *Nachova da others v. Bulgaria* სასამართლოს შეფასებით, სახელმწიფომ სიცოცხლის დაცვის ინტერესის უპირატესობასთან მიმართებით „შემაშფოთებელი" უპასუხისმგებლობა გამოავლინა, რაც გამოიკვეთა, მათ შორის მითითებაში, დაკავება განხორციელებულიყო ნებისმიერი საშუალებით.[18]

---

[11] Nachova and others, პარა 103 -105, 107; *McCann* პარა 146-50, 192-214, *Makaratzis* პარა 64-66; *Streletz, Kessler and Krenz v. Germany* [GC], პარა §§ 87, 96 და 97

[12] Makaratzis v. Greece; Soare and others v. Romania

[13] Nachova and others, para 103

[14] შესაბამისად არ არის რელევანტური მაგალითად ეროვნულ დონეზე ინდივიდუალური პასუხისმგებლობის საკითხი და ევროპული სასამართლოს წინაშე ინდივიდუალური პასუხისმგებლობების მიუხედავად შეფასდება სახელმწიფოს მიერ კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევის საკითხი. იხ. საქმე Avsar, § 284

[15] Bubbins v. the united kingdom, პ. 136;

[16] Simsek v Turkey, judgment of 26 July 2005 at paragraph 111;

[17] Andronicou and Constantinou v Cyprus, Makaratzis v Greece, Huohvanainen v Finland; Bubbins v the United kingdom;

[18] Nachova and others, para 103 -105, 107;

სამართალდამცავმა ორგანოებმა ოპერაციის დაგეგმვის ეტაპზე ლეტალური ძალის გამოყენება მოსალოდნელი ან გარდაუვალი არ უნდა გახადონ. საქმეზე *McCann and others v. UK*, სასამართლომ მაშინაც კი, როდესაც მიიჩნია, რომ კონკრეტულ პოლიციელებს გულმოდგინების ვალდებულება არ დაურღვევიათ, და ბომბის გააქტიურების საფრთხის ცოდნით (თუნდაც არასწორად) გახსნეს ცეცხლი, თავად ოპერაცია დაგეგმვის და განხორციელების ეტაპზე არ იყო მიმართული სიცოცხლისთვის შესაძლო საფრთხის მინიმუმამდე დაყვანაზე. ამ შემთხვევაში სპეციალურ სამსახურებს ჰქონდათ ეჭვი, რომ პირები ტერორისტული აქტის განხორციელებას აპირებდნენ გიბრალტარში, თუმცა მათ მაინც დაუშვეს ეჭვმიტანილი პირების ამ ტერიტორიაზე შემოსვლა, **იმის მიუხედავად, რომ მათი დაკავების შესაძლებლობა ამ დრომდე არსებობდა, ასევე არ გააკეთეს დაშვება, რომ მათთვის მოწოდებული ოპერატიული ინფორმაცია შესაძლოა მცდარი ყოფილიყო, და მეორე მხარის მიერ ცეცხლის გახსნისთანავე ავტომატურად ლეტალური ძალა გამოიყენეს.** სასამართლოს დასკვნით, ოპერაციის დაგეგმვისას ფატალური სროლა, თუ მოსალოდნელი, არა განჭვრეტადი შედეგი იყო, და იმასთან ერთად, რომ პრობლემური შეიძლება ყოფილიყო ლეტალური ძალის ავტომატური გამოყენება, მაშინაც კი როდესაც ადგილი ჰქონდა ტერორიზმში ეჭვმიტანილი პირების მიერ ცეცხლის გახსნას, ოპერაცია მთლიანობაში დაგეგმვისას გამოვლენილი ხარვეზების გათვალისწინებით სიცოცხლის დაცვის სახელმწიფო ვალდებულებას არღვევდა.[19]

ამავე საქმეზე სასამართლო საუბრობს იმაზეც, რომ უმნიშვნელოვანესია შესაბამისი **სამართალდამცავების გადამზადება** ასეთი ოპერაციების დროს სიცოცხლის დაცვის უზრუნველსაყოფად. ის ფაქტი, რომ სასიკვდილო გასროლა შესაძლოა რეფლექსური ქცევა იყოს არ ამართლებს კონვენციის მე-2 მუხლთან შეუსაბამო მოქმედებას. , არც მაშინ როდესაც საქმე ეხება საშიშ ტერორისტებს. სასამართლოს სიტყვებით: „დემოკრატიულ საზოგადოებაში იარაღის გამოყენებისას საჭირო სიფრთხილის ხარისხი შეუძლებელია გულისხმობდეს რეფლექსური ფატალური სროლის დაშვებას, მაშინაც კი როდესაც საქმე გვაქვს საშიშ ტერორისტებთან.'[20] სასამართლო საუბრობს სახელმწიფოს ზოგად ვალდებულებაზე, მათ შორის სიცოცხლის უფლების დაცვის კუთხით, 'დაადგინოს მაღალი პროფესიული სტანდარტი სამართალდამცავი სისტემის შიგნით, რაც გულისხმობს შესაბამისი საჯარო მოხელეებისთვის კონკრეტული კრიტერიუმების დადგენას ...განსაკუთრებით, როდესაც მათი აღჭურვა ხდება ცეცხლსასროლი იარაღით, ამ დროს აუცილებელია არა მარტო ტექნიკური გადამზადება, არამედ იარაღის ტარების უფლებამოსილების მქონე პირების შერჩევის მკაცრი ზედამხედველობა.[21] საქმეზე *Aydan v. Turkey*, დარღვევა დადგინდა იმის მიუხედავად, რომ აუცილებელი მოგერიების ფარგლებს გადაცილება მოხდა აფექტურ, პანიკის მდგომარეობაში, რადგან არ არსებობდა საკმარისი მტკიცებულება ძალადობრივი თავდასხმის ლეტალური ძალით მოგერიების აუცილებლობაზე. სასამართლომ ეს სიტუაცია განასხვავა შემთხვევისგან, როდესაც სამართალდამცავის მიერ კონკრეტულ მომენტში ლეტალური ძალის გამოყენების აუცილებლად მიჩნევა გამართლებული იყო, და მცდარი მხოლოდ შემდგომში აღმოჩნდა. საქმეზე *Brady v. the united kingdom* [22] დარღვევა არ დადგინდა, იმის გათვალისწინებით, რომ სიცოცხლის საფრთხის მინიმიზაციის კუთხით, ოპერაციის დაგეგმვისა და კონტროლის ეტაპზე ხარვეზები არ ყოფილა (განიხილებოდა რამდენიმე ვერსია), ხოლო კონკრეტული პოლიციელის მიერ ლეტალური ძალის გამოყენება მოხდა ადგილზე ყაჩაღობის აღსაკვეთად, თუმცა არასწორი აღქმით, რომ ეჭვმიტანილი ბნელ ოთახში მას იარაღს უმიზნებდა. ეჭვმიტანილების მხოლოდ შეჭრის შემდგომ ადგილზე შეჩერება, გამართლებული იყო გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე. ანალოგიურად, საქმეზე *Bubbins v. UK* , სადაც გასროლა ბინის ორსართიანი ალყის და მას შემდგომ დაიწყო, რაც გარდაცვლილის ხელში იარაღის დანახვისას პოლიციელს მისი მიმართულებით გასროლის გონივრული მოლოდინი გაუჩნდა (რომელიც

[19] McCann and others v. UK, 3 . 202-214; 205;

[20] McCann and others v. UK, 156, 212; andronicou and constantinou v. cyprus, dissenting opinion of judge pikis;

[21] Gorovenky and Bugara v Ukraine, 3 . 38;

[22] Brady v. the united kingdom;

საბოლოოდ სასროლად ვარგისი იარაღი არ აღმოჩნდა), სასამართლომ იმსჯელა ოპერაციის დაგეგმვის და კონტროლის დროს მომხდარის გამომწვევ შესაძლო ხარვეზებზე, და მათი არარსებობის გამო არ დაადგინა დარღვევა.

ცხადია, განსხვავებულია სასამართლოს შეფასება საქმეებზე, სადაც სამართალდამცავების მცდარი ქმედება გამოწვეულია ოპერაციის დაგეგმვისა და კონტროლის ეტაპზე, ასევე მათი მომზადების ხარვეზებით. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ასეთი იყო დიდი პალატის დასკვნა საქმეზე McCann, სადაც დამდგარ შედეგს წინ უძღოდა ხელმძღვანელების მიერ საკმარისი გადამოწმების გარეშე სამართალდამცავებისთვის არასწორი ინფორმაციის მიწოდება, და მომზადება, რომელიც ცეცხლის გახსნის შემთხვევაში ავტომატურად ლეტალური ძალის გამოყენებას გულისხმობდა, ასევე შეირაღებული, ტერორიზმში ეჭვმიტანილი პირების მჭიდროდ დასახლებულ ადგილას შეშვება.

საქმეზე *Chamber judgment celniku v. Greece,* დარღვევა დადგინდა, იმის მიუხედავად, რომ გასროლა განპირობებული იყო შეცდომით, კერძოდ პოლიციელის მიახლოებისას ეჭვმიტანილი პირის მიერ იარაღზე ხელის გაკვრით, იმის გამო, რომ სახელმწიფო ვალდებული იყო სამართალდამცავების შესაბამისი გადამზადება მოეხდინა, რათა დაზარალებულთან გადამეტებული მიახლოვებით მათ არ შეექმნათ ეჭვმიტანილის საპასუხო რეაქციის საფრთხე, რამაც საბოლოოდ გამოიწვია კიდეც სიცოცხლის მოსპობა. [23]

რაც შეეხება თავად ოპერაციის განხორციელების სტანდარტებს, ევროპული სასამართლო ითვალისწინებს ცეცხლის გახსნის გარემოებებს, და სახელმწიფოს ვალდებულებაზე უთითებს, არ გამოიყენოს ლეტალური ძალა ადგილზე არსებული აბსოლუტური აუცილებლობის გარეშე, ამ დროს კი ითვალისწინებს რამდენად სწრაფად, სიცოცხლისთვის საფრთხის შექმნის აბსოლუტური საჭიროებით განხორციელდა სროლა[24], იყო თუ არა სამართლდამცავების მიერ გასროლა აუცილებელი შეირაღებული თავდასხმის საფრთხის მოსაგერიებლად,[25] პირველი რომელმა მხარემ გახსნა ცეცხლი და გასროლამდე იყო თუ არა გაცემული გაფრთხილება.[26] სასამართლო საუბრობს, მაგალითად სიბნელეში განხორციელებული სპეცოპერაციის დროს ხმის გამაძლიერებელი საშუალებებით გაფრთხილების რეალურ საჭიროებაზე. [27] სასამართლო ასევე ითვალისწინებს ღონისძიებების საცხოვრებელ ადგილას დაგეგმვისა და განხორციელებისას იქ მცხოვრები სხვა პირების სიცოცხლისთვის შექმნილ საფრთხესაც.[28]

სასამართლომ ამ სტანდარტებისგან განასხვავა გარემოებები საქმეზე *Andronicou and Constantinou v. Cyprus,* სადაც ცეცხლის გახსნა მოხდა მას შემდგომ, რაც დადგენილი იყო, რომ მძევლად ამყვან პირს ჰქონდა იარაღი, რომლითაც მან ორჯერ განახორციელა სროლა და მძევალს და პოლიციის თანამშრომელს ჯანმრთელობის დაზიანება მიაყენა. ანალოგიურად დადგინდა დარღვევა საქმეზე *Perk and others v. Turkey,* როდესაც სამართალდამცავები ინფორმირებული იყვნენ, რომ ეჭვმიტანილი პირების მიერ ტერორისტული აქტის განხორციელება ოპერაციის დღეს იგეგმებოდა და ბინაში შესვლა სამივე ეჭვმიტანილის სიტყვიერი გაფრთხილების და 5-7 წუთიანი სროლის შემდგომ განხორციელდა. ამ შემთხვევაშიც, ერთ-ერთ გადამწყვეტ გარემოებად იქნა მიჩნეული ის, რომ პირველი გასროლა საცხოვრებელი ბინიდან განხორციელდა და პოლიციელები თავდაცვის რეჟიმში მოქმედებდნენ. ასევე გონივრულად იქნა მიჩნეული სროლა მანამდე, სანამ შეირაღებულ სამ ეჭვმიტანილს სროლის ფიზიკური შესაძლებლობა კვლავ ჰქონდათ. სასამართლომ გაითვალისწინა ექსპერტთა დასკვნები,

---

[23] Celniku v. Greece;

[24] *Chamber judgment celniku v. Greece;*

[25] O□UR v. TURKEY, პარა 81-84;

[26] Yuksel Erdogan and others v. Turkey;

[27] o□ur v. turkey;

[28] *Chamber judgment celniku v. Greece;*

რომლებიც მიუთითებდა, რომ 125 ტყვიიდან 21 ეჭვმიტანილების იარაღებს უკუთვნოდა, ასევე ბალისტიკური დასკვნა, რომ სროლა ახლოდან არ განხორციელებულა. სასმართლომ მართალია მტკიცებულებების არასაკმარისობის გამო და სამართალდამცავების და მესამე პირების სიცოცხლის დაცვის მყისიერი აუცილებლობის გამო აბსტრაქტულად განეიტრალების სხვა ღონისძიებების შესაბამისობაზე სპეკულირებისგან თავი შეიკავა, თუმცა აღსანიშნავია, რომ ზოგადი მითითება გაკეთდა გასროლამდე ცრემლსადენი გაზის, პლასტიკური ტყვიების და დამაყრუებელი ყუმბარის გამოყენების მიზანშეწონილობაზე. [29]

სასამართლო, მკაფიო და უფლების დაცვაზე ორიენტირებული რეგულირების, ასევე სამართალდამცავების შესაბამისი მომზადების, კონკრეტული სპეცოპერაციის დაგეგმვისა და კონტროლის, მისი განხორციელებისას სამართალდამცავების მიერ აბსოლუტური აუცილებლობის პირობებში მოქმედების გარდა, საუბრობს, სიცოცხლის დაცვის ვალდებულებებზე სპეცოპერაციის შედეგად დაშავებული პირებისთვის შესაბამისი **სამედიცინო დახმარების გაწევის** ნაწილშიც. სასამართლო აუცილებელ წინაპირობად არ მიიჩნევს სამედიცინო დახმარების შედეგად პირის გადარჩენის შესაძლებლობას და ამის მიუხედავად ამოწმებს სამართალდამცავების შესაძლო გაუფრთხილებლობას პირის სიცოცხლის დაცვასთან მიმართებით, მაგალითად სასწრაფო დახმარების დაგვიანებული გამოძახების შემთხვევაში.[30] ამავე დროს, როდესაც რელევანტურ პერიოდში პირი სამართლადამდაცვების ეფექტური კონტროლის ქვეშ იმყოფებოდა, მისი ჯანმრთელობის დაზიანების ან სიკვდილის შესახებ განმარტებების გაცემის ტვირთი სახელმწიფოს დაეკისრება. [31]

მნიშვნელოვანია, რომ ზემოთ განხილულ საქმეებზე სასამართლო მტკიცების ტვირთს სახელმწიფოს აკისრებს, რაც იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფომ უნდა წარმოადგინოს დამაჯერებელი დასაბუთება სროლის აუცილებლობის შესახებ, მას შემდგომ, რაც განმცხადებელი შეძლებს *prima facie* მტკიცებულებებით ძალის გადამეტების ჩვენებას. სასამართლო, მათ შორის, დასაბუთების დამაჯერებლობის განსაზღვრისას ყურადღებას ამახვილებს ჩატარებული გამოძიების ეფექტიანობაზე, მთავარი გარემოებების, მათ შორის, გარდაცვლილი პირის მხრიდან შექმნილი საფრთხის დადგენის კონტექსტში.[32] გამოძიების 'სერიოზულობის' შესახებ დასკვნებს ძალის გამოყენების 'აბსოლუტური აუცილებლობის' დასადგენად სასამართლო იყენებს მაგალითად მაშინ, როდესაც გამოძიების ხარვეზები ეხება სიცოცხლისთვის საფრთხის შემქმნელი კონკრეტული სამართალდამცავის იდენტიფიცირებას, ასევე ექსპერტთა დასკვნების არარსებობას, გამოძიების გაჭიანურებას.[33] სახელმწიფოს მიერ მტკიცებულებების წარმოუდგენლობა, მაგალითად ოპერაციის დაგეგმვისა და კონტროლის ნაწილში, სასამართლოსთვის სიცოცხლის დაცვასთან მიმართებით სამსახურების ღონისძიებების ხარვეზიანობის ნიშანია, შესაბამისად სახელმწიფოს წინააღმდეგ გამოიყენება.[34] აღნიშვნის ღირსია ასევე ისიც, რომ სასამართლო კრიტიკულად უყურებს სამართალდამცავების მიერ სიცოცხლის მოსპობის საქმეების გამოძიების ეტაპზე თავად სამართალდამცავების მიერ წარმოდგენილი ვერსიის ავტომატურ გაზიარებას. [35] პოლიციელების ჩვენებებს ზოგადად საეჭვო მტკიცებულებით ღირებულებას ანიჭებს სასამართლო, როდესაც საკითხი სახელმწიფოს წარმომადგენლების მიერ უფლებამოსილების შესაძლო ბოროტად გამოყენებას ეხება.[36]

---

[29] *Perk and others v. Turkey, პარა 58-82*

[30] Ahmet Ozkan and others v. Turkey, para 307-308; scavuzzo-hager et autres c. Suisse, para 67;

[31] Akkum and others v. Turkey, para 211;

[32] Soare and others v. Romania;

[33] Ataykaya v. Turkey;

[34] ergi v. turkey, პ. 80;

[35] o□ur v. turkey, პ. 81;

[36] ochelkov v. Russia, პ. 90;

ამის გარდა, ევროპული სასამართლოს ყურადღების ცენტრში ექცევა მძიმედ შეირაღებული ნიღბიანი სამართალდამცავების დიდი ჯგუფის მიერ განხორციელებული დაკავების აგრესიული სპეცოპერაციის დროს ადგილზე მყოფი პირების დამამცირებელი და არაადამიანური მოპყრობისგან დაცვის ინტერესი. სასამართლოს განმარტებით, დაკავების ასეთმა ღონისძიებამ შესაძლოა ადგილზე მყოფ პირებში გამოიწვიოს ღირსების შემლახველი დაუცველობის განცდა, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ფიზიკური წინააღმდეგობის პრევენციის საჭიროების არარსებობის გამო ის უფრო მეტად სადამსჯელო ღონისძიების სახეს იძენს. [37] საქმეზე *Hristovi v. Bulgaria,* რომელიც შეეხებოდა ნიღბიანი სპეცრაზმელების მიერ დაკავების ძალადობრივ სპეცოპერაციას, სასამართლომ აღნიშნა, რომ ოჯახურ პირობებში ნიღბიანი და შეირაღებული პირების შეჭრა, როდესაც შეირაღებული თავდასხმის საფრთხე მეორე მხრიდან არ არსებობს, თავად ქმნის კონვენციასთან შესაბამისობის პრობლემებს. ამავე დროს, ასეთის აბსოლუტური საჭიროების შემთხვევაში სპეციალიზებული ანტიტერორისტული ჯგუფის წევრების იდენტიფიცირება შესაძლებელი უნდა იყოს რაიმე სხვა ანონიმური იდენტიფიკაციის საშუალებით მაინც (მაგ. ნომერი), იმ შემთხვევებისთვის თუ ისინი სპეცოპერაციის განხორციელებისას ძალის გადამეტებით იმოქმედებენ, რათა არასათანადო მოპყრობის შემთხვევაში სამართალდამცავების ფაქტობრივი დაუსჯელობა იყოს თავიდან აცილებული.[38] საქმეზე *Kučera v. Slovakia* სასამართლომ ისაუბრა კანონმდებლობის დონეზე დამცავი გარანტიების აუცილებლობაზე, რომელიც ერთი მხრივ, შეზღუდავს სპეციალური ძალების გამოყენებას მხოლოდ ისეთ სიტუაციებზე, როდესაც პოლიციის ჩართულობა საკმარისად ვერ უზრუნველყოფს უსაფრთხოების ინტერესების დაცვას, ასევე მაგალითად ოპერაციის დროს მიუკერძოებელი პირის დასწრების ან მფლობელის მკაფიოდ გამოხატული წერილობითი თანხმობის მიღების მოთხოვნის დამცავ მექანიზმებს გაითვალისწინებს. [39]

საგამოძიებო ორგანოსთვის ზემოთ აღნიშნული გარემობების მითითებისა და EMC-ის არაერთი მოთხოვნის მიუხედავად, ჩვენთვის ამ დრომდე უცნობია შეესწავლილია თუ არა დასახელებული საკითხებია და როგორია მათი რეზულტატი.

სპეცოპერაციის კანონიერების საკითხის გარდა, საგამოძიებო ორგანოს ამ დრომდე არ შეუსწავლია თემირლან მაჩალიკაშვილის კუთვნილი მობილური და ყურსასმენები. როგორც უკვე აღინიშნა, მობილური ტელეფონი 2017 წლის 26 დეკემბერს ამოიღეს თ. მაჩალიკაშვილის საძინებელი ოთახიდან სუს-ის თანამშრომლებმა. თუმცა, ეს ნივთი ამ დრომდე არ არის წარდგენილი პროკურატურის საგამოძიებო ნაწილში და არ მომხდარა მისი შესწავლა. კერძოდ, დაზარალებულისთვის უცნობია თ. მაჩალიკაშვილის მობილური ტელეფონზე არის თუ არა სისხლის კვალი, როგორია მისი განფენა, რა სახის მიკრონაწილაკებია დარჩენილი მასზე და ა. შ.

ფოტომასალით დასტურდება, რომ ლოგინში ასევე იყო ყურსასმენი, ხოლო მისი მდებარეობა და გამოძიების ეტაპზე დადასტურებული ფაქტი, რომ თ. მაჩალიკაშვილი მომხდარ ფაქტამდე რამდენიმე წუთით ადრე სოციალურ ქსელში სახალისო ვიდეოებს უზიარებდა მეგობრებს, ქმნის ვარაუდს, რომ თ. მაჩალიკაშვილი ყურსასმენს იყენებდა და სპეციალური დანიშნულების რაზმის წევრების შესვლა შესაძლოა ვერც გაეგო. აღნიშნული ვერსიის მიუხედავად საგამოძიებო ორგანო ამ დრომდე არ სწავლობს ამ საკითხს, მით უფრო იმ პირობებში , რომ შემთხვევის ადგილის დათვალიერების შედეგად არ არის ამოღებულ ყურსასმენი და თ. მაჩალიკაშვილის ოჯახის წევრების განმარტებით ნივთი მათ აღარ უნახავთ.

მნიშვნელოვანია, რომ პრობლემურია და სათანადოდ არ არის შესწავლილი თ. მაჩალიკაშვილის დაჭრის შემდგომ მისთვის სასწრაფო სამედიცინო დახმარების გაწევის საკითხი.

---

[37] *Rachwalski and Ferenc v. Poland*, პარა. 58; *Miroslaw Garlicki v. Poland* პარა 75;

[38] Hristovi v. Bulgaria, 42697/05, პარ. 81, 89, 92; Rashid *64-65; Vachkovi v. Bulgaria* 89;

[39] *Kučera v.* Slovakia, პარ. 122;

EMC-თვის სსიპ ,,112"-ის მიერ 2018 წლის 8 თებერვალს მოწოდებული ინფორმაციის (იხილეთ დანართი #8), თანახმად, 112-ში ზარი განხორციელდა 04:17:12, 4:20:55, 4:30:25, 4:37:46, 4:43:27 საათზე ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ ომალოში, (რომელიც დაზუსტდა და გამოძახების ადგილად დუისი მიეთითა) სასწრაფო სამედიცინო დახმარების მოთხოვნით. აღნიშნულისგან განსხვავებულ დროებზე უთითებს სსიპ ,,საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის" 2018 წლის 6 თებერვლის წერილი (იხილეთ დანართი), საიდანაც დგინდება, რომ 2017 წლის 26 დეკემბერს მიიღეს ინფორმაცია სასწრაფო სამედიცინო დახმარების მოთხოვნით ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ ომალოში 04:18 საათზე, ხოლო 04:26 საათზე ახმეტის მუნიციპალიტეტის სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადას გზაში შეახვედრეს უგონო მდგომარეობაში მყოფი ახალგაზრდა მამაკაცი თავის არეში ჭრილობით, რომელიც 04:34 წუთზე მიყვანილი იქნა შპს ,,უნიმედი ახმეტის რაიონულ ჰოსპიტალში". მითითებული დროითი განსხვავებებიდან გამომდინარე ჩნდება კითხვა თუ თემირლან მაჩალიკაშვილს სასწრაფო სამედიცინო დახმარება აღმოუჩინეს 04:26 საათზე, ხოლო 04:34 საათზე ჰოსპიტალში შეიყვანეს, რატომ ფიქსირდება სსიპ ,,112"-ში კვლავ მაჩალიკაშვილისთვის სამედიცინო დახმარების გაწევის მოთხოვნით ზარები 4:30:25, 4:37:46, 4:43:27 საათზე? აღნიშნული ინფორმაციის დაზუსტების და ,,112"-დან შესაბამის დროზე განხორციელებული აუდიოჩანაწერების მოთხოვნით მიემართა საგამოძიებო ორგანოს, თუმცა რაიმე განმარტება ამ დრომდე არ მიგვიღია.

6. უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევა და 331-ე პრიმა მუხლით მიმდინარე გამოძიების მასალებზე წვდომის არქონა

როგორც უკვე ცნობილია, თ. მაჩალიკაშვილის სიცოცხლის ხელყოფის ფაქტის გამოძიების პარალელურად სუს-ში მიმდინარეობდა გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 331-ე პრიმა მუხლით გათვალისწინებული ქმედების ჩადენის ფაქტზე. სწორედ აღნიშნულ დანაშაულებრივ ქმედებასთან სავარაუდო კავშირის გამო განხორციელდა სპეოპერაცია თ. მაჩალიკაშვილის საცხოვრებელ სახლში, თუმცა მისი დაკავება ან ბრალის წარდგენა არ განხორციელებულა. მიუხედავად იმისა, რომ თ. მაჩალიკაშვილი არ იყო ცნობილი ბრალდებულად, სუს-ის მიერ მედიის საშუალებით გაკეთებული განცხადებები, ყოველგვარი ვარაუდის გამოთქმის გარეშე უთითებდა თ. მაჩალიკაშვილის დანაშაულებრივ ქცევაზე და მას მტკიცებითი ფორმით დამნაშავებად წარმოაჩენდა, რაც უხეშად არღვევდა უდანაშაულის პრეზუმფციის ფუნდამენტურ პრინციპს. აღნიშნულ პრობლემაზე EMC ოჯახის სახელით დავობს სასამართლოს წინაშე. ჩვენი შეფასებით, გამოძიების პირველ ეტაპზე თემირლან მაჩალიკაშვილის ბრალეულობაზე მტკიცებითი მსჯელობა, ისევე როგორც ცალკეული ინფორმაციის ფრაგმენტული გასაჯაროვება, თემირლან მაჩალიკაშვილისა და მისი ოჯახის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულის გადაფარვისა და მსხვერპლის დეჰუმანიზაციის მცდელობა იყო.

აღსანიშნავია, რომ თემირლან მაჩალიკაშვილის ჰოსპიტალიზაციის შემდეგ მასზე ხორციელდებოდა ინტენსიური საპოლიციო კონტროლი პალატაში, თუმცა პროკურატურის განმარტებით ის დაკავებულად არ ითვლებოდა, რის გამოც ადვოკატებს თემირლანის ბრალდების ნაწილში სისხლის სამართლის საქმის მასალების გაცნობის შესაძლებლობა არ ქონიათ. EMC არა ერთი მიმართვის მიუხედავად (დანართი #9), ამ დრომდე ბუნდოვანია გამოძიების მდგომარეობა თემირლან მაჩალიკაშვილის ნაწილში და შესაბამისად, ოჯახის წევრები მოკლებულები არიან შესაძლებლობას გაეცნონ საქმის მასალებს, რომელიც ამ კუთხით არსებობს. ამ პირობებში ჩვენ ვაკვირდებით მედია საშუალებების მიერ გავრცელებულ ფრაგმენტულ ინფორმაციას, რომელიც თემირლან მაჩალიკაშვილის ბრალეულობის ვერსიის შექმნას ცდილობს, თუმცა, ეს მასალები აშკარად დაუსაბუთებეული ჩანს. რამდენიმე კვირის წინ რამდენიმე მედია საშუალებით გავრცელებული ინფორმაციის[40] შესაბამისად გაირკვა, რომ თ. მაჩალიკაშვილის კუთვნილი მობილური ტელეფონის შინაარსი, სახელწმიფო უსაფრთხოების სამსახურში მიმდინარე ტერორიზმის მხარდაჭერის საქმის გამოძიების ფარგლებში, ამერიკის შეერთებულ შტატებში იქნა შესწავლილი. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, თ.

[40] https://imedinews.ge/ge/video/7993/temirlan-machalikashvilis-teleponis-eqspertiza-dasrulda

მაჩალიკაშვილს ჰქონდა კომუნიკაცია ა. ჩატაევთან და მობილურ ტელეფონში დაინსტალირებული მობილური აპლიკაციის მეშვეობით უცნობ პირთან შემდგარი საუბრისას იგი თავის აფეთქებაზე საუბრობდა, ხოლო მობილურ ტელეფონში 2017 წლის 21-22 ნოემბერს თბილისში, სალოსის გამზირზე ჩატარებული სპეცოპერაციისას ლიკვიდირებული და დაკავებული პირების ფოტოებს ინახავდა. მიუხედავად იმისა, რომ მედია საშუალებების მიერ ინფორმაციის გავრცელებამდე ადვოკატების მიერ არაერთხელ იქნა დაყანებული თ. მაჩალიკაშვილის კუთვნილი მობილური ტელეფონის გადმოცემა და შესწავლა თბილისის პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის მიერ, აღნიშნული მოთხოვნა არ იქნა დაკმაყოფილებული და მხოლოდ მედიაში ინფორმაციის გავრცელების შემდგომ უზრუნველყო საგამოძიებო ორგანომ ტელეფონის შინაარსის ამსახველი მასალების გაცნობა ოჯახის ადვოკატებისთვის. დასახელებული მასალების გაცნობის შემდგომ კი ჩვენთვის ცნობილი გახდა დეტალები, რომლებიც შესაძლოა ტერორიზმის მხარდაჭერის საქმეზე მიმდინარე გამოძიების ფარგლებში თ. მაჩალიკაშვილის ბრალეულობის ვერსიის დაუსაბუთებლობაზე უთითებდეს. კერძოდ, თავდაპირველად უნდა აღინიშნოს, რომ წარმოდგენილ და ადვოკატებისთვის გაცნობილ მასალებში არ ვხვდებით კონკრეტულ ინფორმაციას, რომელიც შეიძლება იყოს მიმოწერა შესაბამის პირებთან, განხორციელებული ზარები, მოკლე ტექსტური შეტყობინებები და სხვა, რაც შესაძლოა მიუთითებდეს თ. მაჩალიკაშვილის კომუნიკაციაზე ა. ჩატაევთან და ტერორიზმის მხარდაჭერის რაიმე ფორმით განხორციელებაზე. მედიაში გავრცელებული ინფორმაციის, რაც მოიცავდა ა. ჩატაევსა და თ. მაჩალიკაშვილს შორის თითქოსდა სატელეფონო ზარის არსებობას, აღნიშნული კომუნიკაციის დამადასტურებელი რაიმე დოკუმენტი, მათ შორის სატელეფონო ანძების მონაცემები საგამოძიებო ორგანოს ან სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს ამ დრომდე არ წარმოუდგენია. წარმოდგენილ მასალაში არ არის ინფორმაცია თ. მაჩალიკაშვილს, შ. ბორზიევს, ა. სოლტახმადოვს ან ტერორიზმის მხარდაჭერაში ბრალდებულ სხვა პირებში შორის რაიმე ტიპის, მათ შორის ყოველდღიური ყოფა-ცხოვრებისთვის დამახასიათებელი კომუნიკაციის შესახებ. უნდა აღნიშნოს, რომ წარმოდგენილ მასალებში 2017 წლის 25 დეკემბრის შემდგომი მონაცემები, მათ შორის თ. მაჩალიკაშვილის მიერ მობილური აპლიკაციის მეშვეობით 2017 წლის 26 დეკემბერს, 03:39 წუთზე მეგობრებისთვის გაგზავნილი აუდიოფაილი, არ ფიქსირდება.

ამასთან ერთად, უნდა აღინიშნოს, რომ მიმოწერა, რომელიც მედიაში თავდაპირველად გავრცელებული ინფორმაციის თანახმად იყო განხორციელებული იყო პირთან, რომლის სატელეფონო ნომრის იდენტიფიკაცია შეუძლებელი იყო. მასალებით დასტურდება, რომ მიმოწერა მეგობარ გოგონასთან წარმოებს და მასალის უდიდესი ნაწილი საერთო ნაცნობებზე, ყოველდდღიური ცხოვრების დეტალებზე, სპორტსა და ფილმებზე მსჯელობას შეეხება, ხოლო მედიაში გავრცელებული ინფორმაცია ე. წ. ,,ისტიშხადის“ განხორციელების შესახებ მთლიანი მიმოწერის გაცნობის შემდგომ ცხადი ხდება, რომ საუბარი ეხება ვიდეოს, სადაც ასახულია ავტომობილის აფეთქება და ვიდეოს კონტექსტიდან, აგრეთვე დუისის მოსახლეობისთვის ქისტურ დიალექტზე გამოყენებული ფრაზით დგინდება თ. მაჩალიკაშვილის მხრიდან თვითაფეთქებაზე ლაპარაკის დროს თვითირონიის და ხუმრობის დამოკიდებულება. ყოველდღიურ, საყოფაცხოვრებო დისკუსიაში მსგავს თემაზე ახალგაზრდა ბიჭის მსჯელობა სოციალურ პრობლემას შეიძლევა აჩვენებდეს, მაგრამ აღნიშნულ მიმოწერას არანაირი კავშირი ა. ჩატაევსა და მასთან დაკავშირებულ პირებთან არ აქვს და ის არც დანაშაულის ჩადენის რეალურ განზრახვაზე უთითებს.

თ, მაჩალიკაშვილის მობილურ ტელეფონში არსებული ინფორმაციის დათვალიერება და იქ აღმოჩენილი მასალის თარგმნა ქართულ ენაზე განხორცილებულია სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური თანამშრომლების მიერ თარჯიმნის მეშვეობით განხორციელდა. თუმცა, ნათარგმნი მასალების რევიზია, რომელიც EMC-იმ მოწვეული თარჯიმნის მეშვეობით განახორციელა თარგმანის პრობლემასა და ნათარგმნი ფრაზების არარელავანტურ კონტექსტში გამოყენებაზე მიუთითებს. სუს-ის მიერ წარმოდგენილი თარგმანის უდიდესი ნაწილი არსებითი შეცდომებით ხასიათდება, რიგ შემთხვევებში ადგილი აქვს სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობის ნაცვლად მისი ანტონიმის გამოყენებას, რაც მთლიანად ცვლის წინადადების აზრს და იწვევს მისი მნიშვნელობის ცვლილებას.

მითითებულიდან გამომდინარე, არაკვლიფიციური თარგმანის პირობებში ბუნებრივია მთლიანად ეჭვქვეშ დგება ნათარგმნი მასალის ადეკვატურობა და საჭიროებს საგამოძიებო ორგანომ ხელახალი თარგმანის პირობებში უზრუნველყოს სწორი თარგმანი.

აღნიშნულთან ერთად, უნდა აღინიშნოს, რომ თ. მაჩალიკაშვილის მობილურ ტელეფონში აღმოჩენილი შ. ბორზიევის და ა. სოლტახმადოვის ფოტო, ავტომატურად ტეორორიზმის მხარდაჭერის განხორციელებაზე არ მიუთითებს, რამდენადაც თ, მაჩალიკაშვილის ოჯახის წევრებმა არაერთხელ განმარტეს ბორზიევთან და სოლტახმადოვთან ნაცნობობის შესახებ, რაც მიუთითებს იმ შესაძლებლობაზე რომ თ. მაჩალიკაშვილს მათთან საერთო ფოტო ჰქონოდა გადაღებული, თუმცა იმავდროულად არ გულისხმობს, რომ მას გაცნობიერებული ჰქონდა ამ პიროვნებების ვინაობა და რაიმე ფორმით ჩართული იყო დანაშაულებრივ ქმედებაში.

მითითებულიდან გამომდინარე, ცხადი ხდება, რომ თ. მაჩალიკაშვილის თითქოსდა დანაშაულებრივი ქმედების შესახებ ინფორმაციის პერიოდული გავრცელება, მით უფრო იმ ინფორმაციის რომელიც არსებითად დამახინჯებული და დაუსაბუთებელია იწვევს უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევას და ზიანს აყენებს გარდაცვლილის ოჯახის წევრებს.

თ. მაჩალიკაშვილის ოჯახის წევრებისთვის მიყენებული ზიანის კუთხით უნდა აღინიშნოს, რომ 2017 წლის 26 დეკემბერს სპეცოპერაციის დროს მათ მიმართ ადგილი ჰქონდა არასათანადო მოპყრობას, რაზეც შემდეგი გარემოებები მიუთითებს: გარემოებები: 1. სპეცოპერაცია დაიწყო ღამით, მძინარე ადამიანების მიმართ, მათთვის უცნობი მიზეზებით და დაწყებისთანავე, ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე თ. მაჩალიკაშვილის ოჯახის წევრებს სპეციალური დანიშნულების რაზმის წევრებმა აიძულეს ძირს დაწოლა, იარაღის დამიზნებით ადგნენ თავზე და არ აძლევდნენ განძრევის შესაძლებლობას. აღნიშნული ქმედების გამო აიზა მარგოშვილს გული წაუვიდა და რამდენიმე წუთის განმავლობაში უგონო მდგომარეობაში იყო[41], ხოლო ნატა მაჩალიკაშვილს ამ პოზიციაში ყოფნისას მოუწია დაენახა და გაეგო როგორ ესროლეს მის ძმას, რამაც მისი ძლიერი აღელვება და ტანჯვა გამოიწვია[42]. 2. სპეცრაზმელებმა მოახდინეს ოჯახის წევრების სრული იზოლირება და კონტროლი აგრესიული და ღირსებისშემლახავი საშუალებებით და დაახლოებით დილის 04:00 საათიდან 10:00 საათამდე, არ აძლევდნენ ოთახებიდან გამოსვლის ნებას, მათ მეთვალურეობას უწევდათ შეიარაღებული პირი, არ მისცეს საპირფარეშოთი სარგებლობის შესაძლებლობა, რის გამოც ელენე მაჩალიკაშვილს მისთვის დამამცირებლად, ოჯახის წევრებისა და სხვა უცხო პირის თანდასწრებით მოუხდა მოშარდვა. 3. თ. მაჩალიკაშვილის მიმართ გასროლა ოჯახის წევრების თვალწინ განხორციელდა და მათი არაერთი მოთხოვნის მიუხედავად, არ აწვდიდნენ ინფორმაციას მათი ოჯახის წევრის ჯანმრთელობის მდგომარეობისა და ადგილსამყოფელის შესახებ, როცა მაღალი ალბათობით ვარაუდობდნენ, რომ ის დაჭრილი იყო. ამ კუთხით აღსანიშნავია ნატა მაჩალიკაშვილის მდგომარეობა, რომელმაც ერთი მხრივ მან დაინახა როგორ ესროლეს მის ძმას სიბნელეში, გაფრთხილებისა და რაიმე კომუნიკაციის გარეშე და გაიაზრა რომ შესაძლოა ის მძიმედ დაზიანებულიყო, მეორე მხრივ კი მას უწევდა ოჯახის წევრების ემოციური მდგომარეობის ნახვა, მათი დამშვიდება, მათ ჯანმრთელობაზე ზრუნვა, რაც აყენებდა მეტ ფსიქოლოგიურ ზიანს და იწვევდა მის მორალურ ტანჯვას. 4. შექმნილმა ვითარებამ დაამძიმა ელენე მაჩალიკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობა და მას ეპილეფსიური შეტევა დაეწყო. მიუხედავად იმისა, რომ ის არის მოხუცებული, იმყოფებოდა მძიმე მდგომაროებაში და მისი მხრიდან რაიმე ხელშემშლელი მოქმედების განხორციელება გამორიცხული იყო სპეცრაზმელები საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში უარს აცხადებდნენ მისთვის სამედიცინო დახმარების აღმოჩენაზე და საპირფარეშოთი სარგებლობის შესაძლებლობა მაშინაც კი არ მისცეს, როდესაც აღიქვეს, რომ ჯანმრთელობის მხრივ მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდა. 5. ოჯახის წევრებს მათი საცხოვრებელი სახლიდან სპეცრაზმელების გასვლის შემდგომ, მოუწიათ ენახათ სისხლით სავსე თ. მაჩალიკაშვილის

[41] იხ. ზემოთ, ფაქტობრივ გარემოებებში

[42] იხ. ზემოთ. ფაქტობრივ გარემოებებში

საძინებელი ოთახი და ოჯახის წევრის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია მხოლოდ საავადმყოფოში მიიღეს.

სპეცრაზმელების მხრიდან ოჯახის წევრების მიმართ გამოვლენილი კონტროლისა და შეზღუდვის მექანიზმები არ იყო პროპორციული და აშკარად აჭარბებდა ხეშეშლის გარეშე ჩხრეკის ჩატარების ლეგიტიმურ მიზნობრიობას. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ სასამართლოს მიერ გაცემული იყო თ. მაჩალიკაშვილის დაკავებისა და მისი საცხოვრებელი სახლის ჩხრეკის განჩინება. შესაბამისად, განხორციელებული მოქმედებები საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებისთვის დადგენილ რეჟიმს უნდა დაქვემდებარებოდა, რომლის შესაბამისადაც მხოლოდ წინააღმდეგობის გაწევის შემთხვევაშია შესაძლებელი იძულების პროპორციული ზომების გამოყენება.[43] მოცემულ შემთხვევაში კი დგინდება, რომ თ.მაჩალიკაშვილის ოჯახის წევრებს რაიმე სახის წინააღმდეგობა არ გაუწევიათ და მხოლოდ შვილის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის მიწოდებას ითხოვდნენ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით ჩხრეკის ადგილზე მყოფ პირებს შესაძლოა აეკრძალოთ წასვლა ან ერთმანეთთან კომუნიკაცია, თუმცა უნდა დასტურდებოდეს ამის აუცილებლობა. იმ პირობებში, როდესაც თ. მაჩალიკაშვილის ოჯახის წევრების მხრიდან წინააღმდეგობის გაწევა არ მომხდარა, ჩამოართვეს მობილური ტელეფონები, გაურკვეველია რა აუცილებლობა არსებობდა რომ მათთვის საპირფარეშოთ სარგებლობის შესაძლებლობა არ მიეცა და გარკვეული პერიოდის შემდგომო საერთოდ დაატოვებინა საცხოვრებელი სახლი.

მითითებულიდან გამომდინარე, ცხადი ხდება, რომ მსგავსი სიტუაციები და პირობები თ. მაჩალიკაშვილის ოჯახის წევრებს ღირსების შემლახველ მდგომარეობაში აყენებდა და გამოიწვია მათი ფსიქიკური და მორალური ტანჯვა, რითიც განხორციელდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 144 [3]-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედება. აღნიშნულის შესაბამისად, EMC-იმ მიმართა (დანართი#10) თბილისის პროკურატურის საგამოძიებო ნაწილს გამოძიების დაწყების და შესაბამისი პასუხისმგებლობის განსაზღვრის მოთხოვნით, თუმცა, თბილისის პროკურატურის საგამოძიებო ნაწილი მხოლოდ ოჯახის წევრების გამოკითხვით შემოიფარგლა და გამოძიების დაწყების თაობაზე გადაწყვეტილება ამ დრომდე არ მიუღია.

7. დასკვნა და მოთხოვნები

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ცალსახაა, რომ თემირლან მაჩალიკაშვილის სიცოცხლის ხელყოფის ფაქტზე მიმდინარე გამოძიების პროცესი არსებითი ხარვეზებით ხასიათდება და არ აკმაყოფილებს ეფექტიანი გამოძიების ფუნდამენტურ სტანდარტებს.

თემირლან მაჩალიკაშვილის საქმე სიმპტომატური საქმე აღმოჩნდა ერთის მხრივ პანკისის ხეობაში წლების განმავლობაში სახელმწიფოს არსებითად უსაფრთხოების პერსპექტივიდან მუშაობის პოლიტიკისთვის, რომელიც ადგილობრივ მოსახლეობას მეტწილად საფრთხის რისკად მონიშვნას ახდენს და არსებითად ინტენსიური საპოლიციო კონტროლისა და დისცნიპლინირების უხეშ, ადამიანის უფლებების საწინააღმდეგო მეთოდებს იყენებს, მეორეს მხრივ კი ის ავლენს სუს-ის ინსტიტუციური მანდატის პრობლემას, რომელიც კონფლიქტური/შეუსაბამო კომპეტენციებით და ჭარბი ძალაუფლების კონცენტრაციით გამოირჩევა. აღნიშნული საქმეზე ადამიანის უფლებების დარღვევის მასშტაბისა და მისი მძიმე სოციალური ეფექტების გათვალისწინებით, მიგვაჩნია, რომ მნიშვნელოვანია, რომ ხელისუფლებამ ჯეროვანი ყურადღება გამოიჩინოს საქმის მიმართ.

ზემოთ წარმოდგენილი დარღვევევის გათვალისწინებით, EMC მოუწოდებს

საქართველოს მთავარ პროკურორს

[43] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 111-ე მუხლის მე-7 ნაწილი

1. უზრუნველყოს თემირლან მაჩალიკაშვილის სიცოცხლის ხელყოფის საქმეზე ეფექტიანი, ობიექტური და დროული გამოძიების ჩატარება და იმ პირების სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გამოკვეთა, რომლებმაც არასათანადოდ დაგეგმეს და ჩაატარეს სპეცოპერაცია მაჩალიკაშვილების სახლში, ასევე ვინც მტკიცებულებების ფალსიფიკაციასა და განადგურებასთან დაკავშირებული სავარაუდო დანაშაული ჩაიდინეს;
2. საქმეზე დამოუკიდებელი და ეფექტიანი გამოძიების მიზნით მთავარმა პროკურორმა უზრუველყოს თემირლან მაჩალიკაშვილის სიცოცხლის ხელყოფის საქმეზე პირადი ზედამეხდველობის განხორციელება და შესაბამისი პროკურორისთვის წერილობითი და დასაბუთებული მითითებების მიცემა;
3. უზრუნველყოს თემირლან მაჩალიკაშვილის ოჯახის ადვოკატების მიმდინარე გამოძიების ფარგლებში საქმის იმ მასალებზე წვდომა, რომელიც სახელმწიფო საიდუმლოებად კლასიფიცირდება;
4. უზრუნველყოფს თემირლან მაჩალიკაშვილის ოჯახის წევრებთან და ადვოკატებთან შესაძლებლად დროული შეხვედრა და გამოძიების მიმდინარობის დროს გამოვლენილ ხარვეზებზე დისკუსიის გამართვა.

საქართველოს პარლამენტსა და მის შესაბამის კომიტეტებს

1. გაიაზროს თემირლან მაჩალიკაშვილის სიცოცხლის ხელყოფის საქმის მძიმე სოციალური შედეგები პანკისის ხეობისთვის და დაინტერესდეს თ. მაჩალიკაშვილის სიცოცხლის ხელყოფის საქმეში სუს-ის და პროკურატურის საქმიანობაში ადამიანის უფლებების დარღვევის პრობლემატიკით და მათი საქმიანობის მიმართ უზრუნველყოს ეფექტიანი საპარლამენტი კონტროლის განხორციელება, მათ შორის, მოახდინოს აღნიშნული უწყებების წარმომადგენლების დაბარება და ანგარიშების მოსმენა;
2. ადამიანის უფლებათა დაცვისა და მოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტმა უზრუნველყოს თემირლან მაჩალიკაშვილის სიცოცხლის ხელყოფის საქმეზე სამართლებრივი დასკვნისა და რელევანტური რეკომენდაციების მომზადება;
3. გაიაზროს პანკისის ხეობაში არსებითად უსაფრთხობის მიდგომებზე დაფუძნებული სახელწიფო პოლიტიკის მძიმე შედეგები და თემირლან მაჩალიკაშვილის საქმის შემდეგ ხეობის მოსახლეობასა და სახელმწიფო ინსტიტუტებს შორის გაჩენილი ნდობის პრობლემა [44]და შესაბამის უწყებებს ხეობაში პოლიტიკის წარმართვის სახელმძღვანელო მითითებები მისცეს;
4. ადამიანის უფლებების დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციისა და იურიდიულ საკითხთა კომიტეტებმა დააორგანიზონ სამუშაო შეხვედრა თემირლან მაჩალიკაშვილის ოჯახთან და პანკისის ხეობის მოსახლეობის თემის ლიდერებთან, რისი ორგანიზაციების პასუხისმგებლობის გაწევა EMC ასევე შეუძლია.

საქართველოს პრემიერ-მინისტრს

1. გაიაზროს თ. მაჩალიკაშვილის სიცოცხლის ხელყოფის საქმის მძიმე სოციალური შედეგები ხეობისთვის და დაინტერესდეს თემირლან მაჩალიკაშვილის სიცოცხლის ხელყოფის საქმეში სუს-ისა და პროკურატურის საქმიანობის პრობლემატიკით და საქმის პოლიტიკური და სოციალური მნიშვნელობის გათვალისწინებით, მასზე პირადი მონიტორინგი განახორციელოს;
2. გაიაზროს პანკისის ხეობაში არსებითად უსაფრთხობის მიდგომებზე დაფუძნებული სახელწიფო პოლიტიკის მძიმე შედეგები და თემირლან მაჩალიკაშვილის საქმის შემდეგ ხეობის მოსახლეობასა და სახელმწიფო ინსტიტუტებს შორის გაჩენილი ნდობის პრობლემა და შესაბამის უწყებებს ხეობაში პოლიტიკის წარმართვის სახელმძღვანელო მითითებები მისცეს.

[44] ამ კუთხით გთხოვთ იხილოთ: https://emc.org.ge/ka/products/pankisi-spetsoperatsiis-shemdeg-represiuli-politikis-sotsialuri-da-emotsiuri-shedegebi

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს

1. აღიაროს და შეწყვიტოს თემირლან მაჩალიკაშვილის მიმართ უდანაშაულის პრეფუმციის ფუნდამენტური პრინციპის დარღვევა;
2. უზრუნველყოს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის ,,გ" ქვეპუნქტით მიმდინარე გამოძიების ფარგლებში თემირლან მაჩალიკაშვილის ოჯახის ადვოკატების იმ მასალებზე წვდომა, რომელიც სახელმწიფო საიდუმლოებად კლასიფიცირდება;
3. უზრუნველყოს თემირლან მაჩალიკაშვილის ოჯახისა და მისი ადვოკატების წვდომა ყველა იმ საქმის მასალაზე, რომელიც ტერორიზმის მხარდაჭერის საქმის გამოძიების ფარგლებში თემირლან მაჩალიკაშვილთან დაკავშირებით არსებობს;
4. გაიაზროს პანკისის ხეობაში მის მიერ ადამიანის უფლებების დაცვის სტანდარტების საწინააღმდეგოდ ჩატარებული რეპრესიული სპეცოპერაციის მძიმე სოციალური შედეგები და რეგიონში მისი საქმიანობის დროს განუხრელად დაიცვას ადამიანის უფლებების და თანასწორობის სტანდარტები, ამასთან პანკისის ხეობაში მისი პოლიტიკა კონტროლისა და დასჯის მიდგომების ნაცვლად, არსებითად სოციალური და პოლიტიკური ინკლუზიისა და დაცვის მიდგომებს დააფუძნოს;

დანართები:

1. ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის (EMC) 2018 წლის 9 იანვარის განცხადება (გ01/04/2018) დაზარალებულის სტატუსის მინიჭების შესახებ (12ფ);
2. ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის (EMC) 2018 წლის 11 იანვარის განცხადება (გ01/20/2018)დაზარალებულის სტატუსის მინიჭების შესახებ (11 ფ);
3. ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის (EMC) 2018 წლის 14 მარტის განცხადება (გ01/132/2018)დაზარალებულის სტატუსის მინიჭების შესახებ (2 ფ);
4. თბილისის პროკურატურის 2018 წლის 26 მარტის დადგენილება დაზარალებულის უფლებამონაცვლედ ცნობის თაობაზე უარი თქმის შესახებ (2ფ);
5. ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის (EMC) მიერ 2018 წლის 14 მარტს საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში წარდგენილი განცხადება (გ01/20/2018) სახელმწიფო საიდუმლოების შემცველ მასალებზე დაშვების ნებართის გაცემის შესახებ (7);
6. საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის 2018 წლის 13 აპრილის გადაწყვეტილება სახელმწიფო საიდუმლოების შემცველ მასალებზე დაშვებაზე უარი თქმის შესახებ (1ფ);
7. ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის (EMC) 2018 წლის 26 იანვარის განცხადება (გ01/52/2018) თ. მაჩალიკაშვილის მიმართ გამოყენებული ძალის კანონიერების შეფასების შესახებ (13 ფ);
8. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2018 წლის 2 თებერვლის პასუხი სსსიპ 112-ში 2017 წლის 26 დეკემბერს განხორციელებული ზარების შესახებ (1ფ);
9. ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის (EMC) თბილისის პროკურატურასა და საქართველოს მთავარ პროკურატურაში წარდგენილი განცხადებები ტერორიზმის მხარდაჭერის ფაქტზე მიმიდინარე გამოძიების ფარგლებში თ. მაჩალიკაშვილთან შემხებლობაში მყოფი მასალების გაცნობის შესახებ (11 ფ);
10. ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის (EMC) 2018 წლის 13 მარტის განცხადება (გ01/131/2018)დაზარალებულის სტატუსის მინიჭების შესახებ თ. მაჩალიკაშვილის ოჯახის წევრების მიმართ არასათანადო მოპყრობის ფაქტზე გამოძიების დაწყების მოთხოვნის შესახებ (7ფ)

პატივისცემით,

თამთა მიქელაძე
დირექტორი